ყვარლის მუნიციპალიტეტის „მედია ცენტრის“ გაზეთი
2016 წელი, 15 სექტემბერი, №15 (6428)

ყვარელი

გამოდის 1932 წლიდან
ფასი 40 თეთრი

ღვინის ტურიზმის გლობალურ ფორუმს საქართველომ უმასპინძლა

8 სექტემბერს, ღვინის ტურიზმის გლობალური ფორუმის მონაწილეები კომპანია „ მეღვინეობა-ხარებას“ ეწვივნენ და დაათვალიერეს უნიკალური ღვინის საცავი, რომლის საერთო სიგრძე 7,7 კილომეტრია, მთელი წლის განმავლობაში ტემპერეტურა 12-14 გრადუსი, ჰაერის ტენიანობა 70 %, რაც ღვინის შენახვისა და დაძველებისათვის იდეალურ პირობებს ქმნის.

ფორუმში მონაწილეობდა 50 ქვეყნის 250 წარმომადგენელი, რომელთაც საცავის დათვალიერების შემდგომ მუშაობა გააგრძელეს „ მეღვინეობა-ხარებას“ რესტორანში.

ისტორიული მოგზაურობა ღვინის ტურიზმით — ასეთია კონფერენციის მონაწილეთა შეფასება, რომელთაც დაგემოვნეს „ მეღვინეობა-ხარებას“ საქვეყნოდ ცნობილი ღვინოები და ერთსულოვნად აღნიშნეს მათი უნიკალურობა.

ფორუმის მონაწილეებს სიტყვით მიმართა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მიხეილ ჯანელიძემ, რომელმაც აღნიშნა , რომ ფორუმი საქართველოს ცნობადობას შეუწყობს ხელს და გაზრდის, როგორც ვიზიტორთა რაოდენობას, ასევე ღვინის ექსპორტს.

...ყველას, ყველას ვულოცავ ახალი სასწავლო წლის დაწყებას!

იწყება ახალი 2016-2017 სასწავლო წელი, რისთვისაც მომზადება მთელი ზაფხულის განმავლობაში მიმდინარეობდა ყვარლის მუნიციპალიტეტის რესურსცენტრში. რა გაკეთდა იმისათვის, რომ მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლები მომზადებულები შეხვდნენ მოსწავლეებს, ამასთან დაკავშირებით ყვარლის რესურსცენტრის უფროსი, ქალბატონი ქეთევან ჭიპაშვილი გვესაუბრა.

— ქალბატონო ქეთევან, რა სიახლეებით ხვდებით ახალი სასწავლო წლის დადგომას?

— იწყება ახალი 2016-2017 სასწავლო წელი. მნიშვნელოვანია სისტემა მომზადებული იყოს იმ პროცესებისათვის, რომელიც წელს იქნება განსხვავებული, გადაყვანილი სხვა კონტექსტში, ვინაიდან საპილოტე პროექტები დასრულდა და იწყება პროექტების სრულფასოვანი იმპლემენტაცია. მათ შორის ეს ეხება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემას, სახელმძღვანელოებითა და კომპიუტერებით სკოლების უზრუნველყოფას, ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, იმ ახალ პროგრამებს, რომელიც საქართველოს საჯარო სკოლებში დაიწყება და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იქნება მოსწავლეებისა და მასწავლებელთა მოტივაციის გაზრდისთვის.

ახალ სასწავლო წელს ყვარლის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლები ბევრი სიახლით ვხვდებით:

სარეაბილიტაციო სამუშაოები უკვე მეორე წელია უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობდა და დღეისათვის უკვე დასრულებული გახლავთ შილდის 1 საჯარო სკოლაში, ჩანთლისყურის სკოლაში მოწესრიგდა გათბობის სისტემა და დამონტაჟდა ახალი საქვაბე, გადაიხურა ალმატის, თივისა და ენისლის საჯარო სკოლების სპორტული დარბაზები, გრემის საჯარო სკოლაში მოეწყო სარინელი და საბუის საჯარო სკოლაში შეიცვალა ყველა ფანჯარა...ეს ძალიან მცირედი ჩამონათვალია იმისა , რაც ჩვენს საჯარო სკოლებში გაკეთდა, რადგან სკოლებმა თავიანთი ეკონომიის ხარჯზე, ძალიან დიდი სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაატარეს და დღეს, თამამად შეიძლება ითქვას, რომ მუნიციპალიტეტის ყველა სკოლა გამართული და მოწესრიგებული ინფრასტრუქტურით ხვდება ახალ სასწავლო წელს.

— სასკოლო სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით წელს რა მდგომარეობა იქნება?

— სახელმძღვანელოების სრული კომპლექტი ექნება ყველა მოსწავლეს. სკოლებში უკვე მიტანილია სასკოლო სახელძღვანელოები და ახალი რვეულები. მთავარი ისაა, რომ დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს, თითქმის სულ ახალი სახელმძღვანელოებით გავახარებთ.

— რამდენმა პირველკლასელმა გაიარა რეგისტრაცია და რას სთავაზობთ სწავლის დაწყების დღეს?

— პირველკლასელებს განახლებული კომპიუტერები გადაეცემათ; 366 პირველკლასელია წელს დარეგისტრირებული სკოლებში და ყველას უკვე მერხზე დადებული ახალი და პროგრამულად განახლებული „ბუკი“ელოდებათ, რაღათქმაუნდა ახალ დედაენასა და სხვა სახელმძღვანელოებთან ერთად. ასევე უნდა გითხრათ, რომ თითქმის ყველა სკოლამ პირველკლასელებისათვის განსაკუთრებულად მოამზადა საკლასო ოთახები, პატარებს მთელი გულით, სულით და სიყვარულით ელოდებიან სკოლები, მათთვის დაუვიწყარი უნდა იყოს სწავლის დაწყების პირველი დღე...

— სასკოლო ტრანსპორტზე რას გვეტყვით?

— წელს ტრანსპორტი 4 სკოლას მოემსახურება; ენისლის, ყვარლის 1, ყვარლის 2 და ახალსოფლის 1 საჯარო სკოლების მიკროავტობუსები იმ მოსწავლეებს მოემსახურებიან, რომლებიც სკოლებიდან 3 კმ-ზე მეტ მანძილზე დაშორებით ცხოვრობენ..

— რა მდგომარეობაა სასკოლო ინვენტართან დაკავშირებით?

— სასკოლო ინვენტარი ყველა საჯარო სკოლაში განახლებულია, ბოლო ორი წლის განმავლობაში 600 ცალი ახალი მერხი და სკამი შემოგვივიდა, 50 ახალი დაფა, ყველა სკოლაში არის ინტერნეტი და სკოლებმა თავიანთი თანხებითაც შესძლეს, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა განეახლებინათ და შეევსოთ.

— დღეს მეტად აქტუალურია სკოლის ექიმის ინსტიტუტის შემოღება-დანერგვა, ამ მხრივ რა ხდება რაიონის სკოლებში?

— სკოლაში ექიმის არსებობა მნიშვნელოვანია, ეს ძვირი პროექტია და ამიტომ ეტაპობრივად ხორციელდება.... წელს უკვე გავაზის, ახალსოფლის 1, ყვარლის 1, ყვარლის 2 და შილდის 1 საჯარო სკოლებს ექნებათ ექიმის სერვისი.

— არის თუ არა რაიმე ცვლილებები სისტემაში?

— ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა 2017-2018 სასწავლო წლიდან ამოქმედდება, წელს არის გარკვეული ცვლილებები, მაგრამ მცირედი..ყველასათვის ცნობილია, რომ სახელმწიფომ დაიწყო მასწავლებელზე, მის უწყვეტ პროფესიულ განვითარებასა და მოტივაციის ამაღლებაზე ზრუნვა. 2015-2016 სასწავლო წლიდან ამოქმედდება მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა, რომლის მიხედვით კარიერულ ზრდას თან ახლავს ანაზღაურების მატება, რაც უდავოდ მნიშვნელოვანია პედაგოგთა მოტივაციის ამაღლებისათვის. სახელმწიფომ ამ მიზნით ფინანსური რესურსების მობილიზება მოახდინა და უკვე გასულ სასწავლო წელს ორჯერ გახდა შესაძლებელი მასწავლებელთა ხელფასების ზრდა. სულ რაღაც წელიწადნახევარში მასწავლებლის ანაზღაურება ქვეყანაში საშუალო ხელფასზე მაღალი გახდება, ხელფასების შემდგომი ზრდა 2017 წლისათვის იგეგმება, ამისათვის ბიუჯეტიდან უკვე გამოყოფილია 68 მილიონი ლარი. უახლოეს დღეებში ველოდებით მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ცვლილებებს, ეს ცვლილებები უკვე დააანონსა ახალმა მინისტრმა ბატონმა ალექსანდრე ჯეჯელავამ.

— რას ისურვებდით ახალ სასწავლო წელს?

— ახალი სასწავლო წელი, როგორც ახალი წელი, თითქმის ყველა ოჯახის კარებს აღებს ....ყველას, ყველას ვულოცავ ახალი სასწავლო წლის დაწყებას! ვულოცავ პედაგოგებს, ვულოცავ მოსწავლეებსა და მათ მშობლებს, ბებია — ბაბუებს! განსაკუთრებით ვულოცავ ამ დღეს პირველკლასელებსა და პირველკურსელებს! მინდა, ყველას ვუსურვო წინსვლა და წარმატებები! ..მხოლოდ გონიერი, ღონიერი, მიზანდასახული, წარმატებული, განათლებული და მოტივირებული მომავალი თაობები ააყვავებენ და გააძლიერებენ ჩვენს ქვეყანას...

ესაუბრა ია გიგიაშვილი
გაზეთი „ყვარელი“

წმინდა დიდმოწამე ქეთევან დედოფალი

1624 წლის 12 (ახალი სტილით 26) სექტემბერს ქეთევან დედოფალი სასტიკად აწამეს ღვთისა და კაცობრიობის მტრებმა...

წმინდა ქეთევანი იყო აშოთან მუხრან-ბატონის ასული შემკული საოცარი სილამაზითა და სიკეთით. ტანდაბალი, შავთვალება, „პირმშვენიერი და დარბაისელი, არამხოლოდ ერთი სამეფოს, არამედ მთელი იმპერიის მბრძანებლობის ღირსი იყო (რ. გულბენკიანი, „ნამდვილი ცნობები საქართველოს დედოფლის ქეთევანის მოწამეობრივი სიკვდილის შესახებ")". „მცოდნე საღვთო წერილისა და სათნოებათა მომგები, ქალწული, მორცხვი, ბრძენი, კეთილგონიერი, ქალი ნარნარი და მხნე კეთილთა მოქმედებათადმი". კეთილგონიერი და მორწმუნე ქეთევანი კახეთის მეფის, ალექსანდრე II უფროს ვაჟს, დავითს შერთეს ცოლად. მეფე ალექსანდრეს ბერად აღკვეცის შემდგომ ტახტზე დავითი გამეფდა. მაგრამ ოთხიოდ თვეში 1602 წელს მოულოდნელად გარდაიცვალა. დაქვრივებულ ქეთევანს დარჩა ქალ-ვაჟი — თეიმურაზი და ელენე. ალექსანდრე იძულებული შეიქმნა, ქვეყნის მართვას დაბრუნებოდა. ამასობაში შაჰ-აბასმა თავის კარზე აღზრდილ გამაჰმადიანებულ კონსტანტინე-მირზას უბრძანა, წასულიყო კახეთში, მოეკლა მოხუცებული მამა, ღვიძლი ძმა — გიორგი და თავად გამეფებულიყო.

კონსტანტინე-მირზამ შეასრულა ბრძანება, მამისა და ძმის მოკვეთილი თავები, ვითარცა ძვირფასი ძღვენი, „მამობილს" გაუგზავნა, ამასაც აღარ დასჯერდა, ქეთევან დედოფალს მედიდურად შეუთვალა: შეგირთავ ცოლად და შენც მორჩილ მექმენ, რამეთუ ესრეთ არის წესი და ჩვეულება რჯულად მაჰმადისაო.

ამ ამბით შეძრწუნებული კახეთის დიდებულები შეიკრიბნენ, შეებნენ რჯულისა და ადათის შემგინებელს და სიცოცხლეს გამოასალმეს. ქეთევანმა, როგორც ქრისტიანმა დედოფალმა, ურწმუნო კონსტანტინეს გვამი მაინც გვარისათვის შესაფერი პატივით დაკრძალა. შაჰს დიდძალი ძღვენი გაუგზავნა და სთხოვა, მეფედ თეიმურაზი დაემტკიცებინა. მანამდე კი თავად იტვირთა სამეფოზე ზრუნვა.

შაჰ-აბასი შეშინდა: კახეთი განმიდგება, ქართლს შეუერთდება და საბოლოოდ დავკარგავო. ამიტომ სასწრაფოდ დაბრუნა საქართველოში მის კარზე მყოფი უფლისწული თეიმურაზი.

1614 წელს შაჰმა თეიმურაზს ერთგულების ნიშნად შვილი სთხოვა მძევლად. თეიმურაზმა იცოდა შაჰის ვერაგობა, მაგრამ უმცროსი ვაჟი, ალექსანდრე მაინც გაგზავნა სპარსეთში, თან ქეთევან დედოფალიც გააყოლა, რამეთუ „ჰგონებდა პატივისცემასა დედისასა შაჰ-აბასისაგან". მაგრამ განრისხებულმა აბასმა თეიმურაზს შეუთვალა, შენი შვილის გამდელი ხომ არ ვარ, რომ უმცროსი ვაჟი გამომიგზავნე, უკეთუ მართლა ჩემთან მეგობრობა გსურს, უფროსი ძე მაახლეო.

დედოფალმა ფარულად აცნობა შვილს, არ შეესრულებინა შაჰის ბრძანება. მეფემ თავადაც კარგად იცოდა, რაც მოელოდა მის საყვარელ შვილებსა და დედას, მაგრამ დიდებულთა რჩევით, უფროსი ვაჟი მაინც გაგზავნა ისპაჰანს. არც ამით დაკმაყოფილდა შაჰი, „შენც უნდა მობრძანდეო" — შემოუთვალა. ცხადი იყო, ვერაგ სპარსელს კახეთის სამეფოს ამოწყვეტა სურდა. ეს „თხოვნა" ვეღარ აუსრულა თეიმურაზმა ირანის მბრძანებელს. მოიშველია ქართლის მეფე ლუარსაბი და საომრად მზადებას შეუდგა. მეფენი შეითქვნენ და გაერთიანებული ძალებით სძლიეს ჟალეთში დაბანაკებულ მტერს. მარცხით განრისხებულმა შაჰ-აბასმა ქეთევან დედოფალი და მეფის ძენი, ლევან და ალექსანდრე, შირაზის საპყრობილეში გაგზავნა. თავად კი ჯარით ქართლ-კახეთის ასაოხრებლად წამოვიდა. მტერმა დაამარცხა სამეფო, შერყვნა ეკლესია-მონასტრები. აყარა მოსახლეობა და დააცარიელა სოფლები. ქვეყანა შიმშილმა და ძალადობამ მოიცვა. უსჯულოებმა ცეცხლს მისცეს მთელი კახეთი. სამასი ათასზე მეტი ქართველი სპარსეთში გადაასახლეს. დამარცხებული ლუარსაბი და თეიმურაზი იმერეთის მეფეს — გიორგის შეეხიზნენ.

შირაზს გადასახლებიდან 5 წლის შემდეგ შაჰმა ქეთევანს ჩამოაშორა თეიმურაზის ძენი, ისპაჰანს წაიყვანა და დაასაჭურისა. ალექსანდრემ ტანჯვას ვერ გაუძლო და გარდაიცვალა, ხოლო ლევანი ჭკუაზე შეცდა. არაფერს უმხელდა დედოფალს შირაზის მმართველი, ნაქართველარი იმამ-ყული-ხან-უნდილაძე. დიდი პატივით ეპყრობოდა ქეთევანს, არ სურდა დაემძიმებინა მისთვის ისედაც მწუხარე გული.

10 წელი იტანჯებოდა „საპატიო" ტყვეობაში დედოფალი. მარხვითა და ლოცვით, სამშობლოს ბედზე ფიქრით ილეოდა დრო. მაინც მხნედ იყო, უვლიდა, ზრუნავდა, დაჰფოფინებდა თავის სამწყსოს — მასთან მყოფ ოციოდ ქართველს. ქეთევანს ჰბაძავდნენ სპარსეთში მყოფი ქართველ თავადშვილთა ცოლები. როდესაც შაჰმა ჰკითხა ქართველ თავადებს, რატომ არ გსურთ გამაჰმადიანდეთო, ერთმა ახალგაზრდა თავადიშვილმა გულუბრყვილოდ მიუგო: „როდესაც ჩვენს ცოლებს ვეუბნებით, მიიღეთ მაჰმადიანობაო, ისინი გვეუბნებიან, დედა თეიმურაზისა ქრისტიანია და ჩვენ როგორ გავმაჰმადიანდეთო („საქართველოს კალენდარი" 1893 წ.)" ამის შემდეგ შაჰ-აბასმა იმამ-ყული-ხანის პირით მოსთხოვა დედოფალს, სარწმუნოება გამოეცვალა. შედრკა იმამ-ყული-ხანი, შიკრიკი აფრინა შაჰთან, — ნუ აღმართავო ხელს უმწეო დედაკაცზე. მაგრამ შეუვალი იყო შაჰის პასუხი: „რაც გიბრძანე, ის აღასრულეო". ქეთევანს შაჰის ბრძანება და შვილიშვილების ბედი ერთად ეუწყა. სხვის დასანახად მაინც აღიარე მაჰმადი, გულში კი ქრისტიანად დარჩიო, — ეაჯვებოდა ქეთევანს იმამ-ყული-ხანი, მაგრამ ვერ დაიყოლია. ქრისტესათვის სიკვდილი შვებად უჩნდა კახეთის დედოფალს.

ხალხით გაჭედილ მოედანზე გამოიყვანეს ქართველები. მათ წინ დედოფალი ქეთევანი მოუძღვოდა. „დედოფლის მოსამსახურეთ, როცა ანთებულ ცეცხლთან მიიყვანეს, თავზარი დაეცათ და მაჰმადიანთა სასიხარულოდ უარჰყვეს ქრისტე. თვითონ დედოფლის მოძღვარი, მღვდელი გიორგი, როცა მოედანზე გამოიყვანეს, ათრთოლდა, არ იცოდა, რა ექნა და დედოფლის წინაშე მზად იყო, სპარსელებს დაჰყოლოდა ნებაზე. მაშინ დედოფალმა გამამხნევებელი ხმით დაუწყო დარიგება მოძღვარს და ურჩევდა, მტკიცედ დაეცვა ქრისტეს სარწმუნოება. დედოფლის გამამხნევებელმა რჩევამ ისე იმოქმედა მღვდელზე და მის მოსამსახურეებზე, რომელთაც უკვე უარჰყვეს ქრისტე, რომ მაშინვე აღიარეს მაცხოვარი, ისინი უმალ დახოცეს. შემდეგ მწვალებლები მიუბრუნდნენ დედოფალს და დაუწყეს წვალება. ჯალათებმა მოიტანეს სპილენძის ქვაბები, დაანთეს ცეცხლი, შეაწყვეს შიგ შანთები გასახურებლად და სადღესასწაულოდ შემოსილი დედოფალი კოცონის წინ დააყენეს (მხოლოდ ერთი რამ ითხოვა წმინდა მოწამემ: „დედის ნაშობნი ხართ თქვენც, ნუ შეურაცხმყოფთ სიშიშვლით"). ჯალათები როდესაც სწვდნენ რათა ხელები ზურგსუკან შეეკრათ მისთვის, კიდევ ერთი რამ ითხოვა დედოფალმა: „მაჰმადიანივით უკან ნუ შემიკრავთ ხელებს, წინ შემიკარით, როგორც ქრისტიანებს უკრავენ, რათა შემეძლოს ხელები მაღლა აღვაპყრო ჩვენი ღმერთისა და უფლისკენო (რ. გუბენკიანი, დასახ. ნაშრომი)".

მხურვალედ ლოცულობდა დედოფალი, ქეთევანს გახურებული რვალის ქვაბი დაამხეს თავზე, რკინის მარწუხებით დააგლიჯეს ძუძუები. გავარვარებული შამფურები გაუყარეს მკერდიდან ზურგში, ფრჩხილები დააძრეს. ხორცი დააგლიჯეს, ლურსმნიანი ფიცარი დააჭედეს, ბოლოს კი გახურებული ბარით შუბლი გაუპეს.

ქართველთა დედოფალი ძალიან შეეცოდათ შარაზის მცხოვრებთ, მაგრამ შაჰის შიშით ვერავინ ბედავდა მის ნეშტთან მიახლოებას. წამებას ესწრებოდა პორტუგალიელი ავგუსტინელი მისიონერი, მამა ამბროზიო დუშ ანჟუში, რომელიც 1618 წლიდან იმყოფებოდა ირანში და ქეთევანსაც იცნობდა.

სწორედ ამბროზიო დუშ ანჟუშმა აღმოაჩინა ქეთევან დედოფლის საფლავი დასჯიდან რამდენიმე თვეში. მისი თქმით, „როგორც კი ქეთევან დედოფალს სული ამოხდა, მისი ნეშტი ტომარაში ჩააგდეს და ორ კაცს დაავალეს დაეფლათ მინდორში, სადაც უკვე ამოთხრილი ჰქონდათ ორმო. ცხედარი ორმოში ჩააგდეს და ისე დააყარეს მიწა, რომ ქრისტიანებს ვერც კვალი შეემჩნიათ და არც რაიმე მოსაგონარი დარჩენოდათ... დედოფლის ნეშტი დამარხული იყო სამი თვისა და ცამეტი დღის განმავლობაში... თან პორტუგალიელი ტყვე და ჩემი მსახური წავიყვანე. მათთან ერთად მივედი მინდორზე, სადაც ორმოში დაფლეს დედოფალი და თხრა დავიწყეთ. რადგან ორმო მეტად ღრმა იყო, იმ ღამეს ცხედრამდე ვერ მივაღწიეთ. 1625 წლის 4 იანვარი გახლდათ".

მერე ღამით, ავგუსტინელმა მისიონერებმა და მისმა მხლებლებმა ორმოს თხრა განაგრძეს და წამებული დედოფლის ნეშტს მიაკვლიეს. „თავლცრემლიანებმა ამოვასვენეთ დიდებული ქეთევან წამებულის ცხედარი და ჩვენს მონასტერში წავასვენეთ საიდუმლოდ". ამის შემდეგ, ამბროზიო დუშ ანჟუშმა დედოფლის ცხედარი, უკეთ დაცვის მიზნით, ისპაჰანის ავგუსტინელთა მონასტერში გადაასვენა.

მცირე ხანში, 1626 წლის მარტში, შაჰის ბრძანებით, ისპაჰანის მონასტრის ავგუსტინელი ბერები დააპატიმრეს და შირაზში გადაიყვანეს. მონასტრის წინამძღვარმა მანოელ და მადრე დე დეუსმა გადაწყვიტა, თან ერთადერთი განძი, წმინდა დედოფლის სხეული წაეღო. ბერები ათი თვის განმავლობაში შირაზის ციხეში ჰყავდათ გამოკეტილი. 1627 წლის თებერვალში მათ ისპაჰანის მონასტერში დაბრუნების უფლება მისცეს. დაუყოვნებლივ წამოვიდნენ და თან წამოიღეს წამებულის ცხედარიც.

ავგუსტინელმა ბერებმა წამებული დედოფლის ნეშტის წმინდა ნაწილები საგანგებოდ გამზადებულ ლუსკუმაში ჩაასვენეს. ქეთევან წამებულის წმინდა ნაწილები „ჰკურნებდის სნეულთა, თუ ვინ მოიდგის კარებსა" (თეიმურაზ I).

უაღრესად საინტერესოა ქეთევან წამებულის წმინდა ნაწილების შემდგომი ბედი. 1626 წელს, როცა თეიმურაზ I იძულებით „შეურიგდა" შაჰს, მან პირველ რიგში წამებული დედის ნეშტის სამშობლოში გადასვენება ითხოვა. აბას I-მა ნება დართო თეიმურაზს, ქეთევანის ცხედარი საქართველოში წაესვენებინა. მაგრამ სეფიანთა კარზე არ იცოდნენ, სად ინახებოდა დედოფლის ნეშტი. შაჰი ქართლ-კახეთის მეფეს ატყობინებდა, რომ ცხედარი კათოლიკე მისიონერებმა მოიპარეს, მაგრამ არ ვიცით, ავგუსტინელებმა მოიმოქმედეს ეს თუ ფეხშიშველა კარმელიტებმაო.

როდესაც ავგუსტინელმა მისიონერებმა თეიმურაზ I-ის სათხოვრის შესახებ შეიტყვეს, გოას ავგუსტინელების მონასტერში (გოა — ქალაქი-ნავსადგური ინდოეთში; 1510 წელს დაიპყრეს პორტუგალიელებმა; აღმოსავლეთში ავგუსტინელ მისიონერთა მოღვაწეობის ძირითადი ადგილი. — გ.ს.) მყოფი აღმოსავლეთში ავგუსტინელ ბერთა მეთაურის ბრძანებით, 1627 წლის 3 აგვისტოს საქართველოში თეიმურაზ I-თან გამოემგზავრნენ ამბროზიო დუშ ანჟუში და სებასტიანო დე იეზუსი. „თან წავიღეთ წმინდანის თავი, რათა მისი საშუალებით დაგვეყოლიებინა დედოფლის ძე, თეიმურაზი, ნება დაერთო მისიონი დაგვეარსებინა მის ქვეყანაში. მაგრამ გზაში ორივე ავად გახდა და ისპაჰანში დაბრუნდნენ.

1628 წლის 13 თებერვალს ამბროზიო დუშ ანჟუში კიდევ ერთხელ გამოემგზავრა საქართველოსკენ. იმავე წლის 11 მაისს ავგუსტინელი მისიონერები გორში მეფეს წარუდგნენ. თეიმურაზ I-მა მათ ჰკითხა, რა იცოდნენ დედოფლის ცხედრის შესახებ. როდესაც ამბროზიო დუშ ანჟუშმა თეიმურაზს შეატყობინდა, რომ დედოფლის წმინდა ნაწილები — თავის ქალის ნაწილი, აგრეთვე „წამებულის ფეხი, რომელსაც ისევ ეტყობოდა მარწუხის კვალი" ჩამოიტანა, მეფემ დიდად დაუმადლა, — მთელი მსოფლოს განძიც რომ ჩამოგეტანათ, ჩემთვის დედაჩემის ცხედრის ჩამოსვენებას ვერ შეედრებოდაო. მეორე დღეს, თეიმურაზ I-ის ბრძანებით, დედოფლის წმინდა ნაწილები ალავერდის საკურთხეველში დაასვენეს.

კათოლიკე მისიონერები თავდაპირველად თეიმურაზ I-ის სასახლეში ცხოვრობდნენ. შემდგომ მეფემ მათ შესთავაზა, აერჩიათ საცხოვრებელი ადგილი. პატრებმა გორი აირჩიეს. ასე შეიქმნა ავგუსტინელთა მისიონი აღმოსავლეთ საქართველოში ამბროზიო დუშ ანჟუშის მეთაურობით, რომელმაც 1640 წლამდე იარსება.

საყურადღებოა თეიმურაზ I-ის მიერ რომის პაპის — ურბან VIII-სადმი 1629 წლის 6 იანვარს გაგზავნილი წერილი, რომელშიც მეფე მიუთითებდა: „აგერ უკვე ერთი წელია, რაც ჩვენი დედის სხეულის ნაწილები, გამშრალი ძვლები, პართიის სამეფოს კარიდან, ისფაჰანიდან, ჩვენს ქვეყანაში ჩამოგვიტანა ავგუსტინელმა, ღირსეულმა მამა ამბროზიომ, რომელსაც ამ სამსახურისთვის ჯილდოდ გადავეცით ადგილი და მიწა საარსებოდ, საცხოვრებელი სახლისა და ეკლესიის ასაგებად".

XVII საუკუნის 20-იანი წლების მიწურულს თეიმურაზ I-მა ირანში ზავის დასადებად მიავლინა მთავარეპისკოპოსი იოანე, რომელმაც წარმატებით შეასრულა დავალება. გარდა ამისა, მან ისპაჰანის ავგუსტინელთა მონასტრიდან წამოიღო ქეთევან დედოფლის სხვა წმინდა ნაწილებიც, რომლებიც ასევე ალავერდში დაასვენეს: „მოითხოვეს ნეშტი იგი ნაწილნი წმინდაი, და პატივითა დიდითა მიიღეს ადგილსა მას, სადა ისხნეს სხუანი იგი ნაწილნი" (გრიგოლ ხუცესმონაზონი-დოდორქელი). ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილები ალავერდის ტაძარში, საღმრთო ტრაპეზის ქვეშ, 1723 წლამდე ინახებოდა. როგორც რუსეთის ძველი აქტების ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დაცული მასალებიდან ირკვევა, თეიმურაზ I-ს ალავერდში არსებული ნეშტის ნაწილიდან, მცირედი რელიკვია რუსეთის მეფისთვის ალექსეი I-ისთვის გაუგზავნია 1656 წლის 18 აპრილს და მიუწერია კიდეც: ????????????. ჩვენთვის უცნობია რუსეთში გაგზავნილი ამ წმინდა ნაწილების შემდგომი ბედი.

ალავერდში დარჩენილი წმინდა ნაწილები კი 1723 წელს დაიკარგა, როდესაც კახეთის სამეფოს ოსმალები და ლეკები დაესხნენ თავს. მეფე კონსტანტინე II მაჰმად ყული ხანმა თავი ქიზიყს შეაფარა. როგორც ვახუშტი ბატონიშვილი წერს, მისი ძმა „თეიმურაზ და უმეტესნი კახნი დედაწულით და ეპისკოპოსებით მივიდნენ ანაურს (არამედ რომელსა ეტვირთა ნაწილი წმინდათა, უბრკმა ცხენსა მისსა არაგუსა შინა და წარიღო ნაწილნი იგი და დაიკარგა ქეტევან დედოფლის ნაწილიიურთ)".

საქართველოსა და რუსეთის გარდა, ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილები ევროპასა და აზიაშიც წაასვენეს. ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, დანამდვილებით შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ისინი მოხვდა გოასა და რომში, სავარაუდოდ — ნამიურსა (ბელგია) და საფრანგეთში.

1627 წლისთვის წმინდა მოწამის ნეშტი მთლიანად ინახებოდა ისპაჰანის ავგუსტინელ ბერთა მონასტერში, საიდანაც მისი ნაწილი კათოლიკე მისიონერებმა 1628 წელს თეიმურაზ I-ს გაუგზავნეს. ამავე დროს, გოაში გაემგზავრა ისპაჰანის მონასტრის წინამძღვარი მანოელ და მადრე დე დეუსი, რომელმაც თან „წმინდა დედოფლის მარჯვენა ხელი ხორცითურთ და მკლავის ძვალი გოას მონასტრის ბერებისა და მთხოვნელთა სანგეშოდ წაიღო" (რობერტო გულბენკიანი). მალე გოას მონასტერში ისპაჰანიდან გაიგზავნა კიდევ ერთი სიწმინდე — დედოფლის ქვედა ყბა კბილების გარეშე.

გოაში ჩატანილი წმინდა ნაწილები დაცული იყო შავი ქვის კუბოში, საკურთხევლის მარჯვენა მხარეს.

XX საუკუნის დასაწყისში გრასას მონასტრის კოშკი ჩამოიქცა და მთელი შენობა ნანგრევებად აქცია.

ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილებს ინდოეთში სხვადასხვა დროს ეძებდნენ სამეცნიერო ექსპედიციები რევაზ თაბუკაშვილისა და ვაჟა ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით, თუმცა მათ წმინდა ნაწილების მოძიება ვერ მოახერხეს. საბოლოოდ, დიდი აღმოჩენა მაინც მოხდა — 2006 წლის ზაფხულში ინდოელმა არქეოლოგმა ნეზამუდინ ტაჰირმა გოას ა გრასას მონასტერში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მიაკვლია ქეთევან დედოფლის წმინდა ნანილებს, რითაც ქართველთა არაერთი თაობის სანუკვარი ოცნება ასრულდა. ეს ინფორმაცია ქართულ საზოგადოებას მიწოდა, პროფ. გიორგი კალანდიამ. ამჟამად, ინდოელი არქეოლოგების მიერ მიკვლეულ წმ. ნანილებს უკვე ჩაუტარდა დნმ-ის ანალიზი., ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილები ევროპაშიც აღმოჩნდა: XVII საუკუნის 20-იანი წლების მიწურულს, ავგუსტინელ მისიონერებს წმინდანის ნეშტის რომელიმე ნაწილის გაგზავნა, როგორც რელიკვიისა, სთხოვა ცნობილმა იტალიელმა მოგზაურმა, პიეტრო დელა ვალემ. ბერებმა მას თხოვნა შეუსრულეს: გოას მონასტრიდან წამოღებული, ჩვენ მიერ ზემოთ უკვე მოხსენიებული სიწმინდე, დედოფლის ქვედა ყბა კბილების გარეშე თეატინელმა ბერმა დონ პიეტრო ავიტაბილემ და მამა ანტონიო დე სანტო ვისენტემ 1631 წლის 5 ივნისს, რომში, პიეტრო დელა ვალეს გადასცეს, რაც ამ უკანასკნელმა საგანგებო ხელწერილით დაადასტურა.

ამჟამად უცნობია, რა ბედი ეწია პიეტრო დელა ვალეს ოჯახში დაცულ წმინდა ნაწილებს. 1894 წელს ჟურნალ „ბწყემსში" გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობის გარეშე აღნიშნულია, რომ „ქეთევან დედოფლის ნეშტის ნახევარი გორში თეიმურაზ მეფესთან გაგზავნეს, მეორე ნახევარი კი ევროპაში წაიღეს და რომში წმინდა პეტრეს ტაძარში მოათავსეს". ხომ არ შეიძლება დავუშვათ, რომ რომში, პიეტრო დელა ვალეს ოჯახში დაცული სიწმინდე შემდგომში ასევე რომში, წმინდა პეტრეს ტაძარში აღმოჩნდა?

1914 წელს გაზეთ „სახალხო ფურცელი — სურათებიანი დამატება" დაიბეჭდა ბელგიის ქალაქ ნამიურის ხედი ციხესიმაგრით, რომელსაც შემდეგი წარწერა ჰქონდა: „ბელგიელების ციხე ნიმიური: შენობების წინდა რიგში მოსჩანს ტაძარი, სადაც ქეთევან წამებული ასაფლავია". არსებობს ცნობა, რომლის მიხედვითაც 1845 წელს დედოფლის წმინდა ნაწილები ნიმიურში ინახებოდა. ზემოხსენებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა ნინო სალიამ გადაწყვიტა, ბელგიაში ქეთევან წამებულის წმინდა ნაწილებისთვის მიეგნო, მაგრამ, როგორც თავად აღნიშნავს 1973 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში, „ნამიურში ამ რელიკვიების ძებნა უშედეგოდ დამთავრდა".

საფრანგეთში ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილების გაგზავნის ვერსია სომეხ ისტორიკოს არაქელ დავრიჟეცის ეკუთვნის: „ფრანგმა პატრებმა, რომლებიც ქალაქში იყვნენ, მოიპარეს დედოფლის ცხედარი, ერთი ნახევარი გაახვიეს სუფთა ქსოვილში საკმეველთან და მურთან ერთად და საფრანგეთში გაგზავნეს, სადაც პატივცემულია დიდის დიდებით". სამწუხაროდ, არც ამ ცნობის დადასტურება ხერხდება.

რობერტო გულბენკიანმა 1972 წელს პირველად გამოაქვეყნა ქეთევან დედოფლის წამებასთან დაკავშირებული რამდენიმე სურათი. ისინი ავტორმა აღმოაჩინა ლისაბონში ერთ-ერთი მონასტრის კედელზე (აღნიშნული მონასტერი დიდი ხნის წინ სამხედრო ყაზარმად გადააკეთეს). მის ერთ-ერთ დარბაზში 30 მეტრი სიგრძისა და 8 მეტრი სიგანის პანოა აღბეჭდილი.

აღსანიშნავია, რომ ქეთევანს არასდროს უღიარებია კათოლიკური სარწმუნოება, რასაც მკაფიოდ და გარკვევით მიუთითებდა თვით ამბროზიო დუშ ანჟუში 1640 წელს რომში გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში: „სავარაუდოა, რომ დედოფალი ზეცაშია და ღვთის დიდებით ხარობს. მიუხედავად იმისა, რომ ბერძნულ წეს-ჩვეულებებს მისდევდა, იგი დიდი სიყვარულით ეკიდებოდა წმინდა კათოლიკურ ეკლესიასა და ყველა ლათინელს".

საქართველოს მართლმადიდებელმა სამოციქულო ეკლესიამ ქეთევან დედოფალი წმინდანად შერაცხა.

მოამზადა ია გიგიაშვილმა
(„ახალი ქართლის ცხოვრება"
„ქართველ წმინდანთა ცხოვრება")

გიწვევთ საჯარო განხილვაზე

2016 წლის 17 ოქტომბერს, 15 საათზე, ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. ყვარელი, კუდიგორის ქუჩა №1) გაიმართება მდინარე ავანისხევზე და მდ. ქვანერისწყალზე დაგეგმილი „ავანი ჰესის" მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილი ცვლილებები გარემოზე ზემოქმედების შეფასება ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობა ითვალისწინებს ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის მიმდებარედ დერივაციული ტიპის არარეგულირებადი ჰესის მშენებლობას და ექსპლოატაციას.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართზე:

***ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში — ქ. ყვარელი, კუდიგორის ქუჩა №1;**

***შპს „გამა კონსალტინგი"-ს ოფისში — ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17ა.**

ტელ: 2 60 15 27.

გთხოვთ წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ ქვემოთ მითითებულ პირებს:

***კახა კობაიძე, ტელ: 595 72 70 70; E-mail: Avanhpp@gmail.Com;**

***გიორგი ბჟალავა. ტელ: 595 28 75 60; E-mail: goga@gamma.ge;**

საზოგადოებას საკუთარი მოსაზრებების და შენიშვნების წარმოდგენა შეუძლიათ განცხადების გამოქვეყნებიდან 45 დღის ვადაში.

შპს „ენერგო ინვესტი"-ს ადმინისტრაცია.

ბედნიერებაა გქონდეს უნარი გაიხარო იმით, რაც გაქვს

ეს ფოტოსურათი „ყვარლის“ რედაქციასთან დაკავშირებული მოგონებაა. ზაფხულში შვებულებაში არ მიშვებდნენ და ამის გამო დასვედიანებულს უჩუმრად გადამიღო ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა შალვა ხომალდიშვილმა. „შვებულებას არ მაძლევეეენ“... მიმიწერია მაშინ ფოტოზე უკანა მხრიდან და ასე ინახება დღემდე ეს სურათი ჩემს ალბომში.

დაიბადა 1947 წლის 13 ნოემბერს ქ. ყვარელში. 1965 წელს დაამთავრა ყვარლის პირველი საშუალო სკოლა და ჩაირიცხა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე; უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე მუშაობა დაიწყო თავისივე რაიონის გაზეთ „ყვარლის“ რედაქციაში ჯერ ლიტმუშაკად, შემდეგ კი პასუხისმგებელ მდივნად. 1978 წლიდან მუშაობდა რესპუბლიკურ გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში უფროს კორესპონდენტად, 1989-92 წლებში გაზეთ „რესპუბლიკაში“ საზოგადოებრივ-პოლიტიკური განყოფილების გამგედ, შემდგომში გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“. 1995 წლიდან 2004 წლამდე მუშაობდა საქართველოს ტელევიზიის პირველ არხზე საპარლამენტო კორესპონდენტად. ბოლო წლებია თავად დააფუძნა გამომცემლობა „ხარება“ და დღემდე ამ საქმეს უძღვება.

ჩვენი გაზეთის მკითხველისთვის საინტერესო იქნება ამ გამომცემლობის როგორც დირექტორის — გალინა ხარებაშვილის საქმიანობა, სადაც ყოველდღიურად დატვირთული გრაფიკით უნევს მუშაობა, მაგრამ ეს მისთვის იმდენად საინტერესო და შინაარსიანი საქმიანობაა, რომ დაღლას ვერ გრძნობს. მას პირადად შევხვდით და ვესაუბრეთ სხვადასხვა საინტერესო საკითხებზე.

— ქალბატონო გალინა, დავიწყოთ იმით, რომ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყე გაზეთ „ყვარელში“ ჯერ კორესპონდენტად, შემდეგ კი პასუხისმგებელ მდივნად. რამდენი წელი იმოღვაწე ამ გაზეთში და რა მოგცა იქ მუშაობის წლებმა?

— გეტყვით, რომ ჩემი ცხოვრება არაფრით განსხვავდება მთელი ჩემი თაობის ცხოვრებისაგან, — დაბადება, საბავშვო ბაღი, სკოლა, სტუდენტობა, საქმიანობა, მძიმე, არეული 90-იანი წლები, საკუთარ თავზე რომ ვიწვნიეთ ყველამ.

გაზეთ „ყვარელთან“ ჩემთვის მხოლოდ დადებითი ემოციაა დაკავშირებული. ეს იყო ჩემი პირველი ნაბიჯები იმ გზაზე, რომელზეც შემდეგ თითქმის მთელი ცხოვრება ვიარე. სასწავლო მერხიდან ცხოვრებაში გადასვლა ძალზე მნიშვნელოვანი პერიოდი და პროცესია ადამიანის ცხოვრებაში — ამ დროს იწყებ ნამდვილი ცხოვრების შეცნობას, ადამიანებთან კომუნიკაციას, როგორც ნათქვამია, სწავლობ ერთის გარჩევას მეორისაგან, ანუ კარგისა და ცუდის გამიჯვნას იმის გათვალისწინებით, რომ სამყარო მხოლოდ თეთრი და შავი ფერები არ არის, ფერთა ძალზე მდიდარი პალიტრაა. თავიდანვე ცხოვრებისეული ორიენტირების სწორად დალაგება კი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ადამიანის მთელს შემდგომ ცხოვრებას.

გაზეთ „ყვარლის“ რედაქცია კარგი სკოლა იყო ამ მხრივ. საკმაოდ დატვირთული გრაფიკის გამო ბევრს ვმუშაობდით, ცხოვრების ყველა კუთხე-კუნჭულში გვიხდებოდა შეხედვა, ადამიანთა საქმიანობის ასახვა. ასე, რომ უნივერსიტეტის შემდეგ ახლა უკვე ცხოვრების უნივერსიტეტის კურსის გავლა მიხდებოდა პირადად მე — დამწყებ ჟურნალისტს. კოლექტივი ძირითადად მეგობრული იყო, ყველა თავის საქმეს აკეთებდა, დანყებული რედაქტორიდან, დამლაგებლით დამთავრებული. ჯანსაღი იუმორი, ხალისიანი განწყობა ჩვენი ყოველდღიური თანამგზავრი გახლდათ, რაც შრომასაც ნაყოფიერს ხდიდა და დაღლასაც გვიმსუბუქებდა. სხვათა შორის ჟურნალისტიკაში მთელი ჩემი საქმიანობის დროს თავიდანვე ძლიერი შინაგანი პროტესტი მქონდა საბჭოთა პრესაში დამკვიდრებული ფორმალიზმისადმი და შესაძლებლობების ფარგლებში ყოველთვის ვცდილობდი გულწრფელი ვყოფილიყავი მკითხველთან. საერთოდ სიმართლე და გულწრფელობა ძალიან მიყვარს ცხოვრებაშიც და საქმიანობაშიც. იმას ვიტყვი, რომ ყვარლის გაზეთში მიღებული გამოცდილება ძალიან დამეხმარა უკვე შემდგომ რესპუბლიკურ პრესასა და ტელევიზიაში მუშაობის დროს.

— უნდა აღინიშნოს, რომ შენი სტატიები გაზეთ „ყვარელში“ გამოირჩეოდა სხვანაირი ჟურნალისტური თვალთახედვით, — ისეთ სათაურს გაუკეთებდი, მკითხველისთვის საინტერესოს ხდიდა. დროის ფასი იცოდი, სამსახურს არასოდეს ღალატობდი. წარსული დრო თუ გვნატრება ხოლმე?

— ასაკში შესული ადამიანები ხშირად აღმოაჩენენ იმას, რასაც ადრე ვერც კი წარმოიდგენდნენ. მაგალითად რა ტკბილია წარსულის მოგონებები. მახსოვს კარგა ხნის წინათ ერთი პატარა მოთხრობა წავიკითხე. ახალგაზრდა კაცი მეგობარს თავის სიტუაციას უზიარებს — პაპაჩემს ნიკოლოზის დრო უფრო მოსწონდა, მამაჩემს — კომუნისტებისაო; ვერა და ვერ შეთანხმებულან, რომელი უკეთესი იყოო და თვითონვე აკეთებს დასკვნას: ორივეს თავ-თავისი ახალგაზრდობა ენატრება და აქ დრო და ფორმაცია არაფერ შუაშია. სასაღილო კი ის არის, რომ ზოგჯერ სასიამოვნოდ გაგონდება ისიც კი, რაც სულაც არ იყო საამო თავის დროზე.

დროის ფასს რაც შეეხება... დროს ძალზე ძვირი ფასი აქვს და ვინც მისი ეს ფასი და ყადრი არ იცის, არ შეიძლება ეს სანანებლად არ გაუხდეს. დრო ცოტა დაუნდობელიც არის — მკაცრად მიუზღავს იმას, ვინც სათანადოდ არ აფასებს მას; სამაგიეროდ უხვად აჯილდოვებს მის გონივრულად გამომყენებელს. კაცობრიობის ისტორიამ ამის უამრავი მაგალითი იცის. ისტორიასაც რომ თავი დავანებოთ, აბა თითოეულმა ჩვენგანმა მიმოვიხედოთ გარშემო, თვალი გადავავლოთ ჩვენს სანაცნობო წრეს და უთუოდ დავინახავთ, რომ ღირებული ვერაფერი შეუქმნიათ მათ, ვინც დროს ფუჭად ფლანგავს. უსაქმურობა ყველა სატკივრის სათავეა.

— რადგან წარსულს ვიხსენებთ, ცოტა უკანაც გავიხედოთ, — ბავშვობის წლებში. როგორც ვიცი, სკოლის პერიოდიდან მოყოლებული სამი „გადაბმული“ მეგობარი იყავით, — ელენე ვარამიშვილი, ნანა გურასპიშვილი და შენ. თქვენი მეგობრობა აქამდე გრძელდება (სამწუხაროდ ნანა გურასპიშვილის გარეშე, ნათელში ამყოფოს უფალმა), კლასშიც გამოირჩეოდით თქვენი ნიჭიერებით და მასწავლებლებიც გამოუვალ სიტუაციებში იმედებს ყოველთვის თქვენზე ამყარებდნენ. რა არის შენთვის მეგობრობა?

— მეგობრობა მართლაც ძვირფასი გრძნობაა. ჩემი ბავშვობა ელენეს და ნანას გარეშე წარმოუდგენელია. დღემდე რომ ახსოვთ ჩვენი მეგობრობა?! — ერთ-ერთ ჩვენგანს რომ შეხვდებოდნენ, დანარჩენ ორს აუცილებლად მოიკითხავდნენ ხოლმე. დღემდე ასეა. სამწუხაროდ ნანამ ადრე მოგვტეხა ფრთა, მიგვატოვა ჩვენც და თავისი ძალიან კარგი ოჯახიც. დიდი ტკივილია მეგობრის დაკარგვა. იცი, ხშირად მიფიქრია, რომ მეგობრობა გარკვეული უნარია — ყველას არ შეუძლია, არ იცის მეგობრობა, არადა, შეუდარებელი რამ არის, სანდო, ერთგული, გამგები, ჭირისა და ლხინის გამზიარებელი მეგობრის ფასი რა არის?! ეს ღვთის საჩუქარივითაა და მოფრთხილება უნდა.

— რაკიღა მეგობრობაზე ჩამოვაგდეთ საუბარი, საერთოდ მეგობრებისთვის თუ გიღალატია ოდესმე და შემდეგ სინანული გაგჩენია?

— ღმერთმა დამიფაროს!.. შესაძლოა ცხოვრებაში ბევრი შეცდომა დამიშვია (შეუმცდარი ხომ მხოლოდ ღმერთია), მაგრამ არასდროს არავისთვის (კი არადა არაფრისთვის, მაგალითად საქმისთვის) მიღალატია. ამ შეკითხვამ ოდესღაც, სტუდენტობაში სადღაც ამოკითხული ფრაზა გამახსენა, რომლის ავტორი არ მახსოვს: მოღალატეს მე არაფერს მივუსჯი, მოღალეტე ყველაფრის, ყელანაირი სასჯელის ღირსია. სინანულს რაც შეეხება, ის სხვადასხვა დროს, ამა თუ იმ გარემოებათა გამო, რასაკვირველია, გამჩენია. საკუთარი შეცდომის გააზრება, აღიარება და სინანული უკვე იმის საწინდარია, რომ ერთი გადაცდომა სხვა დროს აღარ გაიმეორო. ადამიანი კი, რომელიც ყოველთვის მართალია, უპერსპექტივოა, არა აქვს შინაგანი ზრდის პოტენციალი. ასეთი კაცი არც ღვთისთვის არის სათნო, არც ადამიანებისათვის მისაღები და არც საკუთარ თავს არგებს რაიმეს.

— საქართველოს ტელევიზიის პირველ არხთან განშორებით, თითქოს ანგარიში გაასწორე ჟურნალისტიკასთან და აქედან დაიწყო შენი საქმიანობა სულ სხვა სფეროში... მე თვითონ გადახედული მაქვს თქვენი გამომცემლობის „ხარება“ მიერ გამოცემული საუკეთესო წიგნები, რაშიც აურაცხელი მასალაა თავმოყრილი ჩვენი სარწმუნოების შესახებ. შენ ხარ დირექტორი ამ გამომცემლობის. რამდენად რთულია შენთვის ამ საქმის გაძღოლა, — მასალების მოძიება.

— ჩემი ცხოვრების მეორე ნახევარში ჩემმა საქმიანობამ ცოტა სახე იცვალა. საკუთარი საქმე წამოვიწყე — გამომცემლობა „ხარება“ დავაფუძნე და დღემდე აქ ვსაქმიანობ. რატომ გადავწყვიტე ასე? — მოგეხსენებათ, დიდი ხნის წყვეტის შემდეგ 80-90-იანი წლებიდან ჩვენთან ხალხი რწმენას მიუბრუნდა. ბევრმა ეკლესიური ცხოვრება დაიწყო, მაგრამ, ბუნებრივია, არ იყო სასულიერო ლიტერატურა. ამ დროს ეს ლიტერატურა, ეს ზღვა მასალა კაცობრიობის ისტორიის უმნიშვნელოვანესი და უმშვენიერესი ფურცელია. გარდა ამისა ამ გზაზე დამდგარ ადამიანს სულიერი საკვები სჭირდება. მას გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს რა სწამს, როგორია სწორი, მართალი რწმენა; როგორ უნდა იაროს უფლის გზაზე, რომ არც რელიგიურ ფანატიზმში ჩავარდეს, ხიბლის მსხვერპლი გახდეს და არც ზედმეტი ლიბერალიზმი მოეძალოს. წმიდა მამათა რჩევები და დარიგებები ფასდაუდებელია ამ მხრივ. საერთოდ სასულიერო ლიტერატურა ძალზე მრავალფეროვანია, უაღრესად საინტერესო, ღრმა და მრავალსახოვანი პლასტებით დატვირთულია. ამ სფეროში საქმიანობა ძალიან მომწონს და ეს სრულიად ბუნებრივია — ღვთისკენ სავალ გზაზე ადამიანს (რასაკვირველია, უპირველესად საკუთარ თავს) სულ პაწაწინა, ძალიან მცირედითაც რომ დაეხმარო, ამაზე უკეთესი რა შეიძლება იყოს?! სათქმელის საილუსტრაციოდ პატარა მაგალითს მოვიტანდ: ერთ-ერთი პირველი წიგნი, რომელიც საქმიანობის დასაწყისში გამოსცა გამომცემლობამ, იყო „დედის ცრემლები“. წიგნი ეძღვნება თემას, თუ რა გასაოცარი ძალა აქვს დედის ლოცვას შვილებისათვის და რა დამღუპველია, როდესაც დედა თავის გაჩენილს სწყევლის. გვახსოვს ცნობილი ფრაზა: მე რომ გწყევლი, ჩემი ძუძუები გლოცავს, თითქოს ასე იმშვიდებს თავს დედა, რომელიც გაბრაზების დროს შვილს სწყევლის. არავინ დაიჯეროს, რომ პირიდან ამოსულ სიტყვას რამე სხვა, რომელიმე ორგანოს ლოცვა დაეწიოს. წიგნში მოწოდებული მასალები კონკრეტული, რეალურად მომხდარი შემთხვევებით არის გაჯერებული; კერძოდ, თუ რა ტრაგიკული, გამოუსწორებელი შედეგები მოჰყოლია დედის წყევლას. აქვე არის ასევე იმგვარი ფაქტებიც, როდესაც მშობლის გულმხურვალე ლოცვას სასწაული მოუხდენია, შვილისათვის სიცოცხლე უჩუქებია იქ, სადაც მედიცინა უძლური ყოფილა. იცით რამდენმა დედამ მოიშალა ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ შვილების წყევლა? განა შეიძლება უკეთესი საქმის კეთება ისურვო ადამიანმა?!

— ჩვენ ისეთ ასაკში ვართ, რომ უკვე შეიძლება წარსულზე თვალის გადავლება და ერთგვარი შეჯამება. როგორი იქნებოდა შენი შეფასება საკუთარი განვლილი გზისა? რა იყო ყველაზე მნიშვნელოვანი შენს ცხოვრებაში, რის გარეშე სიცოცხლეს ნაკლები აზრი ექნებოდა.

— უკან გახედვის და გარკვეული შეფასების დრო დამდგარია, გეთანხმებით. სიცოცხლე სწრაფად მიქრის. ყველაზე მნიშვნელოვანი რა იყო?.. — ქალის ცხოვრებაში დედობაზე უფრო მნიშვნელოვანი რა უნდა იყოს?! შვილი ყველაზე ძვირფასია, რასაც უფალი ადამიანს აძლევს. ასაკში კი ეს ემოცია უკვე შვილიშვილზე გადადის. სხვადასხვა ასაკში ადამიანს განსხვავებული ემოციები აქვს — ახალგაზრდობაში ეს არის სწავლა, შეყვარებულობანა, დაოჯახება; მერე, შუა ასაკში — ოჯახის საზრუნავი, შვილები, სამსახური; ხანდაზმულობის ყველაზე ძლიერი გრძნობა კი შვილიშვილებია. ისინი სიცოცხლეს ახალ სტიმულს ანიჭებენ — გინდა უყურო, როგორ იზრდებიან, ყალიბდებიან პიროვნებებად; უყურებ და ისევ საკუთარი ახალგაზრდობა გაგონდება, დრო როდესაც საკუთარ შვილს ზრდიდი.

ბრძენნი ამგვარ ფორმულირებას გვთავაზობენ: ადამიანი ორჯერ იბადება. პირველად, როდესაც ამქვეყნად მოდის ხორციელად და მეორედ, როდესაც სულიერად იშვება, ანუ, როდესაც ღმერთს იპოვის და მარადისობასთან ზიარების შანსი გაუჩნდება. მარადისობაზე მნიშვნელოვანი კი რა უნდა იყოს?!

— გიძებნია თუ არა ბედნიერების ფორმულა და თუ გიპოვია?

— ფორმულისა რა გითხრა, მაგრამ ამ საკითხზე ნამდვილად მიფიქრია და ერთ ძალზე მარტივ დასკვნამდე მივსულვარ: ბედნიერება ის კი არ არის, რომ ჩანაფიქრს, დასახულს ან ნანატრს მიაღწიო, ბედნიერება ის არის, გქონდეს უნარი გაიხარო იმით, რაც გაქვს.

გმადლობთ.

***

უფალი ყოფილიყოს ყოველთვის შენი შემწე და მჯერა ასეც იქნება, რადგან ყოველ წუთს და ყოველ წამს შენ უფლის, ჩვენი სარწმუნოების და ხალხის სამსახურში ხარ.

ესაუბრა დალი ტატულიშვილი

თუ გსურთ ფული არ გამოგელიოთ... (პარაფსიქოლოგის რჩევები)

კერძოდ, რა უნდა გავითვალისწინოთ

თუ გსურთ, ფული არ გამოგელიოთ ჯიბიდან, ნუ ჩაიყოფთ შარვლის უკანა ჯიბეებში ხელებს და ასე ნურც ივლით და ნურც დადგებით დიდხანს. თუ ონკანიდან წყალი წვეთ-წვეთად ჟონავს, ამას თქვენი ოჯახის ბარაქაც ასე ნელ-ნელა გაჰყვება თან, ამიტომ სასწრაფოდ მოაწესრიგეთ ეს პრობლემა. ასევე, არ დადოთ ჩანთა, გასაღები და ცარიელი ბოთლი მაგიდაზე. გვიან, მზის ჩასვლის შემდეგ, არც ნაგავი გადაყაროთ და არც სახლი გამოგავოთ. დამეთანხმებით, ეს რჩევები არც ისე რთული შესასრულებელია, მით უმეტეს, თუ იცი, რომ ამით უბარაქობას უკუაგდებ. სამყაროში თითოეულ ქცევას თავისი შედეგი მოაქვს და ეს უნდა იცოდეთ. მინდა, აქვე გითხრათ ისიც, რომ კარმული ჩავარდნის პერიოდში ადამიანი უბარაქობის მსხვერპლი ხდება, შემდეგ კი აუცილებლად დგება კარმული აღმასვლის პერიოდი და სიტუაციაც გამოსწორდება. ეს პერიოდები კი ნებისმიერი ჩვენგანის ცხოვრებაში დგება. კარმული დაღმასვლის პერიოდში მეტი ყურადღება უნდა გამოიჩინოთ, უნდა აკონტროლოთ სიტყვები, აზრები, ფინანსები და სურვილებიც კი. როცა მოზღვავებულ ენერგიას გრძნობთ, ეს აღმასვლის კარმული პერიოდია და ის მაქსიმალურად უნდა გამოიყენოთ წარმატების მისაღწევად. კოსმოსში ადამიანი საკუთარი თავისა და ბედის პროგრამას კარმული დაღმასვლის პერიოდში გზავნის. სწორედ ამიტომ გითხარით, რომ ამ დროს მეტად ყურადღებით უნდა იყოთ და მეტი სიფრთხილით უნდა გაიაროთ ეს პერიოდი.

ყველა ჩვენგანის სახლში, კერძოდ, ოთახში, არსებობს ადგილები, რომლებიც ფინანსებზეა პასუხისმგებელი. მაგალითად, ასეთი ადგილებია შემოსასვლელი კარიდან მარცხენა კუთხე. მას მეტი ყურადღება უნდა დაუთმოთ, სულ მოწესრიგებული უნდა გქონდეთ და არ უნდა დადოთ იქ ჭუჭყიანი ნივთები. კარგია ამ ადგილას ცოცხალი ხის დადგმა. დღეს თითქმის ყველგან იყიდება ქოთანში ჩარგული დეკორატიული ხეები, შეიძინეთ ისინი და დადგით შესასვლელში. ლამაზიც არის და ბარაქაზეც დადებითად მოქმედებს. მინიატურული, ცოცხალი, მწვანე მცენარეები ადამიანს სასიცოცხლო ენერგიით ავსებს, წარმატებისკენ მიმავალ გზას უხსნის და, აქტიური მოქმედების შედეგად, კარგ შემოსავალსაც უქადის. ასევე, კარგია ასეთი მინიატურული ხეების მისაღებ და საძინებელ ოთახებში დადგმა. ისინი, ასევე, ცხოვრებისეული პრობლემების გადაჭრაში და ნეგატიური ენერგიის განეიტრალებაში დაგეხმარებიან. გეტყვით იმასაც, რომ მინიატურულ მცენარეებთან სიახლოვის შემდეგ ადამიანებს წინასწარმეტყველური უნარი და ინტუიცია უვითარდებათ.

თუ შენიშნავთ, რომ თქვენს ბინაში წყალსადენი მილები, ონკანი ან კანალიზაცია ხშირად გამოდის მწყობრიდან, ესე იგი, თქვენ სურვილის დონეზე არასწორად მართავთ გრძნობებს, ანუ თქვენი ემოციები შეზღუდულია და გამოვლინების საშუალებებს ეძებს. როცა ადამიანის ემოციები და გუნება-განწყობა უარყოფითი ენერგიით არის დამუხტული, ამას საცხოვრებელი სახლიც შეიგრძნობს. თუ სრული ჰარმონიისა და ბარაქა-იდილიის შექმნა გსურთ, სახლს ყურადღება მეტად მიაქციეთ და გაითვალისწინეთ ზემოთ მოყვანილი რჩევები.

აგროსაინვესტიციო სესხი — ახალი შეთავაზება ფერმერებს

ახალი პროდუქტით ფერმერებს, მრავალწლიანი ბაღების გასაშენებლად 20 000 ლარიდან 600 000 აშშ დოლარამდე საინვესტიციო სესხით სარგებლობა გრძელვადიანი საშეღავათო პერიოდით შეუძლიათ.

ფერმერი სესხის პროცენტის გადახდას მას შემდეგ დაიწყებს, როცა გაშენებული ბაღი მსხმოიარობაში შევა. საშეღავათო პერიოდი მაქსიმუმ 5 წელია. აგროსაინვესტიციო სესხის გაცემა პროექტის „შეღავათიანი აგროკრედიტი“ ფარგლებში განხორციელდება.

ამ ეტაპზე აგროსაინვესტიციო სესხი იმ ფიზიკური და იურიდიული პირებისთვისაა განკუთვნილი, რომლებიც მრავალწლიანი ნარგავების გაშენებით არიან დაინტერესებულები, სახელმწიფო პროგრამის „დანერგე მომავალი“ ბენეფიციარები არიან და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მინიმუმ 1 ჰექტარ ფართობს ფლობენ.

„სოფლის მეურნეობის განვითარებისა და შეღავათიან რესურსზე ხელმისაწვდომობის კუთხით აღნიშნული პროდუქტი ძალიან მნიშვნელოვანია.

ძალიან მნიშვნელოვანია კერძო და საჯარო სექტორის თანამშრომლობა. დღეს წარმოდგენილი ახალი პროდუქტი სახელმწიფო პროექტისა და მათი შემოთავაზების ძალიან კარგი სინთეზია და 5 წლამდე საშეღავათო პერიოდს მოიცავს“.

როგორც მინისტრმა აღნიშნა, სახელმწიფო პროექტის „დანერგე მომავალი“ ფარგლებში, მრავალწლიანი ბაღების გასაშენებლად ხორციელდება ნერგების ღირებულების 70 %-ის, წვეთოვანი სარწყავი სისტემის 50%-ისა და სანერგე მეურნეობის მოწყობის 50%-ის დაფინანსება.

აგროსაინვესტიციო სესხი ერთადერთი პროდუქტი არ არის, რომლითაც თიბისი ბანკი აგრობიზნესის განვითარებას უწყობს ხელს. ბანკი 2013 წლიდან ჩართულია სახელმწიფო პროგრამებში „შეღავათიანი აგროკრედიტი“ და „აწარმოე საქართველო“. აღნიშნული პროექტების ფარგლებში სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნით თიბისი ბანკმა 8000-მდე მომხმარებელზე 320 მლნ მილიონი ლარის ოდენობის სესხი გასცა.

თიბისი ბანკის გენერალური დირექტორის, ვახტანგ ბუცხრიკიძის განცხადებით, ახალი პროდუქტით სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ ფერმერებს საშუალება ეძლევათ გრძელვადიანი დაფინანსება მიიღონ, რაც ბაღების გაშენებას მოხმარდება.

რა სამეურნეო სამუშაოები შეიძლება ჩავატაროთ სექტემბერ-ოქტომბერში ჩვენს კარმიდამოში

საბოსტნე ნიადაგის დამუშავება შემოდგომაზე

ჩვენი ეზოს იმ ნაწილის დამუშავება, რომელიც საბოსტნედ გვაქვს გამოყოფილი, შემოდგომის დადგომისთანავე უნდა დავიწყოთ. ვიცით, რომ არა ერთი ბოსტნეული კულტურა შემოდგომზე პერიოდულად თანდათან ამთავრებს ვეგეტაციას და ასრულებს თავის არსებობას — კიტრი, ლობიო, ბადრიჯანი, პომიდორი... რა თქმა უნდა, ღია გრუნტში მოყვანაზე ვსაუბრობთ.

სექტემბრიდან თანდათან უნდა გათავისუფლებული ნიადაგის დამუშავება. უმჯობესია, ის ზამთრისთვის დარჩეს მსხვილი ბელტების მდგომარეობაში. ასეთ შემთხვევაში ყინვის მოქმედება ნიადაგზე უფრო ეფექტურია. მსხვილი გოროხების (ბელტების) სტრუქტურას მაშინ მივაღწევთ, თუ ბოსტანს ნიჩბით დავბარავთ და ბელტების დაშლას არ შევეცდებით — შრომაც ნაკლებ დამღლელი იქნება. თუ შემოდგომაზე ნიადაგს საბაღე ფინლით დავბარავთ, რასაც არაერთი მებაღე იყენებს, მაშინ გოროხები დაიშლება, ნიადაგი სწრაფად დაიტკეპნება და გამკვრივდება. გაზაფხულზე კი პირიქით — ამას არ აქვს დიდი მნიშვნელობა და იმ დროისთვის საბაღე ფინლები ყველაზე შესაფერისი იარაღია ნიადაგის დამუშავებისთვის, რადგან მისი კბილანები ადვილად გადალახავენ უმნიშვნელო წინააღმდეგობას, რაც აადვილებს დაბარვას.

ასევე, არსებითია საბაღე ფინლის სწორი ფორმაც და არა ოდნავ მორკალული, რომელიც უფრო ნარჩენების და მონაფოცხი გროვის გადასაადგილებლად თუ გადასაყრელადაა გამოსადეგი.

სექტემბერში მრავალწლოვან კულტურებს არანაირი სამუშაოს ჩატარება არ სჭირდება — მათგან მხოლოდ მოსავალს ვიღებთ. რაც შეეხება ერთთვიან თუ ერთწლიან ბოსტნეულ კულტურებს, სექტემბერში აუცილებლად უნდა დავთესოთ მწვანილები: ქინძი, ოხრახუში, სასურველია ნიახურის დათესვაც. განსაკუთრებით აუცილებელია სექტემბრის დასაწყისში ზამთრის ბოლოკის დათესვა. ის არ უნდა აგვერიოს თვის ბოლოკში, რადგან ზამთრის ბოლოკს შემოდგომაზე მიწისზედა მწვანე მასა ეფურჩქნება, ზამთარში კი ხდება ბოლქვების ზრდა. თვის ბოლოკი კი, როგორც მისი სახელწოდებაც გვიჩვენებს, შესაძლებელია, დავთესოთ ყოველი თვის დასაწყისში.

სექტემბრის დასაწყისში აუცილებლად უნდა დავთესოთ ფოთლოვანი ხახვი, რომელსაც მრავალშვილასაც ეძახიან. არ დაგვავიწყდეს მწვანე სალათის დათესვა. მართალია, ნივრის დათესვა მიზანშეწონილია აგვისტოში, მაგრამ ვისაც მოუგვიანდა, სასწრაფოდ უნდა დაითესოს სექტემბრის დასაწყისში.

შემოდგომით დაბარული ბოსტნის ნაკვეთი, გაზაფხულზე დამუშავდება მხოლოდ ხელის გამაფხვიერებლით და ფხაჭით. უნდა გვახსოვდეს, რომ შემოდგომით გადაბარული ნაკვეთის გაზაფხულზე გადაბარვისას კლებულობს ზამთარში დიდი რაოდენობით დაგროვილი ნიადაგის ტენი, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ბოსტნეული მცენარის განვითარებისთვის. ამას გარდა, მცირდება ნიადაგის კაპილარობა, რადგან ფორები ძალზე დიდდება. ზოგჯერ ფიქრობენ, რომ შემოდგომით დაბარული ნიადაგის გაზაფხულზე გადაბარვა დაკავშირებულია შრომის ზედმეტ დანახარჯებთან, თუმცა, ეს ასე არ არის — გაზაფხულზე მცენარის დასათესად ან დასარგავად, გამაფხვიერებლის და ფხაჭის საშუალებით მომზადდება მხოლოდ ნიადაგის ზედაპირი. ძირითადად კი, როგორც აღვნიშნეთ, შემოდგომით დაბარვით, კაპილარობის ეფექტი შემცირებულია, ფორები — გადიდებული, ნიადაგის ჰაერაცია სრულ კონდიციას აღწევს და კარგი მოსავლის მისაღებად ყველანაირი წინაპირობაა შექმნილი.

საშემოდგომო სამუშაოები საფუტკრეში

მეფუტკრეობის აქტიური სეზონი იყოფა ორ ნაწილად — პირველი გრძელდება ადრე გაზაფხულიდან მთავარ ღალიანობამდე (აგვისტოს ჩათვლით), მეორე კი ზამთრამდე, როცა ფუტკარი გუნდად იკვრება.

აგვისტოს ბოლოს, მთავარი ღალიანობის დასასრულია. ფუტკარი გაზაფხულ-ზაფხულის აქტიური პერიოდიდან შემოდგომა-ზამთრის მშვიდ პერიოდში გადადის. ახლა საფუტკრის სათანადოდ მომზადება დაიცავს ფუტკრის ოჯახებს დასუსტების, დაღუპვისგან და მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მათ პროდუქტიულობას მომავალი წლისთვის.

საშემოდგომოდ, ფუტკრის ოჯახის გასინჯვის დროს, არკვევენ დედის არსებობას და ხარისხს, ბარტყის რაოდენობას, ბუდის საერთო მდგომარეობას, საკვების მარაგს, ხარისხს. უპირველეს ყოვლისა, ყურადღება უნდა მივაქციოთ თაფლის ჩაკრისტალების შემთხვევას — ასეთი ჩარჩოები სკიდან უნდა ამოვიღოთ, რადგან ის ფუტკრისთვის გამოუსადეგარია. ასევე, თაფლი უნდა გამოვიკვლიოთ მანანის შემცველობაზე და აღმოჩენის შემთხვევაში, თაფლს ცვლიან შაქრით.

საშემოდგომო რევიზიის დროს, ბუდეს ავიწროებენ, იღებენ ფუტკრით დაუკავებელ ზედმეტ ჩარჩოებს და სავსე თაფლიან ჩარჩოებს. საკვებ მარაგს ვუტოვებთ ოჯახის სიძლიერის მიხედვით. საშუალოდ, მაღალმთიან ზონაში, 20 კგ-მდე უნდა დავუტოვოთ, ბარის ზონაში კი — 15-16 კგ-ს ოდენობით.

როგორც ადრე გაზაფხულზე ვატარებთ რევიზიას და ყველა იმ ღონისძიებას, რაც ფუტკრის ნორმალური და შეუფერხებელი მუშაობისთვის არის საჭირო — მასტიმულირებელი კვება, მკურნალობა, პროფილაქტიკა და სხვა გადაუდებელი ღონისძიებების ჩატარება — იგივე სჭირდება ახლაც.

უნდა ვიცოდეთ, რომ მეფუტკრეობის დარგის მაღალი პროდუქტიულობის ასამაღლებლად უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ფუტკრის დაავადების ცოდნას და მასთან დროული პროფილაქტიკური ღონისძიების გატარებას. ფუტკრის გავრცელებული დაავადებებიდან აქტიურია ვარუატოზი, ნოზემატოზ-აკარაპიტოზი, ამერიკული და ევროპული სიდამპლე, ცრუ სიდამპლე.

ბიოთაფლის წარმოებას, რაც შეიძლება, უნდა მოვარიდოთ ქიმია. სურსათის ეროვნული სააგენტოს და სოფლის მეურნეობის სამკურნალო პროფილაქტიკური საშუალებებიდან გამოიყენება შემდეგი პრეპარატები: ვარაკომი, ვაროსტოპი, ბაქტოციდი, ასკოვარი, ვეხტა. ნოზესტატი, ეკოსტოპი ფუნგისანი, სტარტოვიტი. აქვე აღვნიშნავთ, რომ სხვადასხვა პრეპარატის გამოყენება უნდა მოხდეს მხოლოდ ცალ-ცალკე დადგენილი ნორმების და გრაფიკის დაცვით, საჭიროების მიხედვით. სასურველია ანტიბიოტიკების და სხვა სამკურნალო საშუალებების მონაცვლეობა, რომელსაც ვატარებთ შემოდგომაზე, ახლა მოვახდინოთ (ისევე, როგორც გაზაფხულზე, მთავარი ღალიანობის დაწყებამდე). დაზამთრებისას კი უმჯობესია სუსტი, უდედო ოჯახები შევაერთოთ.

ფუტკრისთვის ზამთრის საკვები უნდა მომზადდეს შემდეგი პროპორციით: 3 კგ შაქარი, 2 ლიტრი წყალი. გადავამუშავებთ შაქრის სიროფს. საკვების მიცემა უნდა დამთავრდეს სექტემბრის ბოლომდე. მერე მას ფუტკარი თავად გადაამუშავებს და ინახავს ფიჭებში.

შემოდგომა-ზამთრის გრძელ პერიოდზე გადასვლისას, დიდი მნიშვნელობა აქვს საფუტკრის ტერიტორიის სწორად შერჩევას. ფუტკრის ოჯახების განთავსებისას, პირველ რიგში უნდა გავითვალისწინოთ, რომ არ იყოს მდინარესთან ახლოს, ზვავ და მეწყერსაშიშ ზონაში. ქარისგან უნდა იყოს დაცული, გარემო უნდა იყოს უხმაურო და მშვიდი; მოვარიდოთ რკინიგზას და ავტომაგისტრალს, ავტოფარეხებს, ნაგავსაყრელებს, გუბეებსა და სხვა დაბინძურებულ ადგილებს. დავიცვათ სკების ჰიგიენური ნორმები. ასევე უნდა დავიცვათ თაგვების და სხვა მავნებლებისგან, წყლისგან, ნესტისგან. შემოდგომიდანვე ვიზრუნოთ, რომ სკები საიმედოდ დავამაგროთ სადგამზე თოკით ან მავთულით, ქარისა და დიდთოვლობის დროს უსაფრთხოებისთვის. ზამთრის პერიოდში სასურველია, რაც შეიძლება მეტი სიმშრალე და მზის სითბო, სკები არ იდგეს ჩრდილოვან ადგილზე, საფუტკრე დაცული უნდა იქნეს შუადღის პაპანაქება სიცხისგან.

საფუტკრეში შემოდგომის დადგომისთანავე დროულად და ხარისხიანად უნდა ჩატარდეს სამუშაოები, რადგან წინ ზამთარია და ძლიერი და ჯანსაღი ფუტკრის ოჯახების ყოლა სწორედ შემოდგომაზე კარგ მომზადებაზეა დამოკიდებული, რომ ზამთარს საფუძვლიანად მომზადებული შევხვდეთ — ეს, საბოლოოდ, ფუტკრის მომავალ მაღალპროდუქტიულობაზე აისახება.

როგორ მოვახდინოთ საძონლისთვის ჩალის და თივის კვებისწინა შემზადება

სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა საკვებ ბალანსში განსაკუთრებით დიდ ადგილს იკავებს მარცვლოვანთა და პარკოსანთა ჩალა.

შემოდგომის დადგომისთანავე, ჩალის და თივის კვებისწინა შემზადების არაერთი ნაცადი მეთოდი არსებობს. ჩვენ გირჩევთ, გამოიყენოთ მათ შორის მარტივი წესები, რომელიც შესაძლებელია, დავნერგოთ მეცხოველეობის ფერმებსა თუ მცირე საფერმერო გარემოში. ეს შესაძლებლობას მოგვცემს, მაქსიმალურად და უდანაკარგოდ გამოვიყენოთ ჩალა ცხოველთა კვებაში და გავზარდოთ მათი პროდუქტიულობა.

ჩალის დაჭრა, დანამვა და შეზავება მიზნად ისახავს, გაუადვილოს ცხოველს მისი ჭამა და თავიდან ავიცილოთ დანაკარგი. პირუტყვისთვის დაჭრილი ჩალის მიცემის წინ საჭიროა, ის დავასველოთ მარილიანი წყლით იმ ანგარიშით, რომ ყოველ ათ კილოგრამ ჩალაზე მოდიოდეს ხუთი ლიტრი მარილიანი წყალი. ასე მომზადებულ ჩალას პირუტყვი მადიანად და დიდი რაოდენობით ჭამს. დაჭრილი და დასველებული ჩალა შესაძლებელია შეავაზავოთ შავი პურის ფქვილით, ქატოთი, დაფქვილი კოპტონით, დაჭრილი ძირხვენით, სილოსით...

უხეშ საკვების სამზადისს, ბალახისმჭამელ ცხოველთა ბაგური შენახვის პერიოდისთვის, შემოდგომიდანვე უნდა შევუდგეთ. თივა უმნიშვნელოვანესი საკვებია და მისი გამორიცხვა არ შეიძლება, რადგან უიმისოდ ორგანიზმს დიდი ზიანი ადგება.

მარცვლოვანების და პარკოსნების შემცველი ხარისხიანი თივა უნივერსალური საკვებია. ცხოველის საზრდოებისთვის ის ყველა საჭირო ნივთიერებას შეიცავს თავისი ფიზიკური აგებულებით, აგრეთვე, დიეტური თვისებებით კარგად პასუხობს ბალახისმჭამელ ცხოველთა კუჭ-ნაწლავის მოთხოვნებს, უზრუნველყოფს მონელებითი რეფლექსების აქტივაციას და ულუფის ნორმალურ შეთვისებას. ამიტომ თივის წარმოების გაფართოება და ბაგური შენახვის პერიოდის მოახლოებისას სამზადისი, პირუტყვის ამ საკვებით უზრუნველსაყოფად, დიდ ყურადღებას ითხოვს.

თივის ხარისხი, საყუათო ღირებულება მეტად ცვალებადია. ეს თავისებურება ყველა თივას ახასიათებს, მაგრამ განსაკუთრებით შესამჩნევია ე. წ. მდელოს თივის მიმართ. ხშირია მდელოს თივის (რასაც გურიაში ამზადებენ), მდარე ხარისხი და ყუათიანობა. თივის ხარისხი და სასაზრდოო ღირსება მრავალი პირობით განისაზღვრება. ამ პირობებიდან აღსანიშნავია ბალახის გათიბვის ვადები ანუ მცენარის განვითარების სავეგეტაციო პერიოდი და შრობა-შენახვის ხერხები. რაც უფრო მცირე ასაკისაა მცენარე, მით მეტი რაოდენობით შეიცავს ადვილმონელებად ნახშირწყლებს და მიუხედავად იმისა, რომ დიდი გამოცდილების მქონე ჩვენმა ფერმერებმა, ვისაც საოჯახო მეურნეობა წლების მანძილზე აქვთ, კარგად იციან თივის დამზადების წესი, თიბვის დაწყების დრო. და მაინც კიდევ ერთხელ გირჩევთ, რომ საკვებად თივის დამზადება, მხოლოდ ადრე გათიბული ბალახისგან შეიძლება. ამ შემთხვევაში ბალახის გათიბვა უნდა ხდებოდეს დაკოკრების ან თავთავების ამოღების პერიოდში. ბალახის ადრე გათიბვა, ამასთანავე, სარეველა მცენარეების წინააღმდეგ ბრძოლის ყველაზე კარგი საშუალებაა. ადრე გათიბვის პირობებში სარეველა მცენარეები ვერ ასწრებენ თესლის დამწიფებას, რითაც მათი შემდგომი გავრცელება შეუძლებელი ხდება.

მაღალყუათიანი, ვიტამინოვანი თივის მიღებაზე ზრუნვა მარტო ბალახის ადრე გათიბვით არ ამოიწურება — გათიბული ბალახი ისე უნდა გავაშროთ, რომ მთლიანად შევინარჩუნოთ თავთავი და თავიდან ავიცილოთ მწვანე ბალახის გაუფერულება, შეხურება და სხვა არასასურველი მოვლენები. უმეტესად ჩრდილში შრობა უზრუნველყოფს ბალახის მწვანე ფერის შენარჩუნებას, ამავე დროს, ვიტამინების გადარჩენას. სპეციალური ჩრდილების მოწყობა შეუძლებელია, მაგრამ გათიბვის შემდეგ შემხმარი ბალახის დაბულულება და ისე შრობა უზრუნველყოფს ვიტამინების გადარჩენას.

შრობის პროცესში მყოფი მასის ყოველგვარი გადანაცვლება — შექუჩება, გაშლა, გადაზიდვა და სხვა, ისე უნდა ვაწარმოოთ, რომ თავიდან ავიცილოთ ხმელი ბალახის ფოთლის მტვრევა თუ კარგვა. როგორც კი ასეთი შრომა დასრულდება, თივა უნდა დაიზვინოს. რაც უფრო დიდი ზომის იქნება ზვინი თუ ზვინბულულა, მით უფრო უკეთ შეინახება თივა. ამის გარდა, დაზვინვისას თივის მაგრად დატკეპნვას დიდი მნიშვნელობა აქვს — კარგად დატკეპნილი ზვინი წარმატებით უზრუნველყოფს თივის ხანგრძლივად და უდანაკარგოდ შენახვას სუნის, არომატის, საგემოვნო თვისებების, ვიტამინოვანი თვისებების შესანარჩუნებლად.

მოამზადა ია გიგიაშვილმა

პოეზია

ვუძღვნი წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიას

ეს უფლის სახლია,
სადაც მე ვდგავარ,
თუმცა ანგელოზს
არაფრით ვგავარ.
ჩუმი ხმით ვლოცულობ,
ტკბილი ხმით ვგალობ,
სული მშვიდდება
ყველაფრის გამო.
აქ ჩვენი მოძღვარი,
მამა მერაბი,
სიმართლეს, სიკეთეს,
სიყვარულს გვასწავლის.
გვასწავლის თუ როგორ
გვიყვარდეს მოყვასი,
თუ როგორ დავლოცოთ
მტერი ვერაგი.
ვილოცოთ იმათზე,
ვინც გული გვატკინა,
ვინც არ დაგვინდო
და ცრემლი გვადინა.
მე მიყვარს ტაძარი,
ეს ეკლესია,
აქ არ ტირიან,
აქ არ კვნესიან.
აქ მხოლოდ გალობენ,
აქ მხოლოდ მღერიან,
სანთელს ანთებენ,
ღმერთს ევედრებიან.
შეგვინდეთ, უფალო,
ცოდვები ყველა,
დაფლეთილ სულსაც
ხომ უნდა შველა.
აქ უფლის სახლია,
სადაც მე ვდგავარ,
მაგრამ ანგელოზს
არაფრით ვგავარ!

ვუძღვნი ქეთევან ნათელაძეს
გამოპასუხება ლექსისა
მონოლოგი ტილოდან

აღმოსავლურ გარეგნობას შევეფეთე
წამით და...
აქ პოეტი გოგო მიმზერს —
ათას ერთი ღამიდან.
წუთი-წუთს აღარ გაურბის, ვგრძნობ დროს
გასვლა არ უნდა,
ჩვენთან პოეზია მზეობს, ზოგან
სიტყვა გახუნდა!
თქვენ ლექსებით მომატარეთ — მზის
ცისფერი ბილიკი,
შორს! უფალმა აგვაშოროს, ცინიზმი
და ქილიკი!
— არ მშორდება თვალებიდან, თმები —
მხრებზე გაშლილი,
უამლექსოდ რაც კი მითქვამს,
სუყველაფერს წავშლიდი.
მსურს გრძნობები ავიმაღლოთ,
დავიღვაროთ
ლექსებად,
მხატვრის დედა პოეტ გოგოს,
ლექსით გეალერსებათ!...

მიეძღვნა მშვენიერ ქალბატონს

შენ ლეონარდოს „ჯოკონდას“ გავდი,
ქვეყნად ღვთაებად მოსული ქალი,
სახის ნაკვთებში გაბნეულ ღიმილს
დასთამაშებდა სინათლე მკრთალი.
მე გამახსენდა დიდი მხატვარი
იგი არ გავდა არაფრით მოცლილს,
ნახატი მისთვის იყო „ჯოკონდა“
ვენეციელი ვაჭარის ცოლი.

და ეს ნახატი, გაცოცხლებული,
ქარიან დილას პირველად ვნახე,
ქარი პატარა, ვარდისფერ ბაგით
ქალს უკოცნიდა ფიქრიან სახეს.

იყო სიჩუმე, იყო ოცნება,
იყო სიჩუმე და მოკრძალება,
ასეთი ქალი, ჯოკონადს მსგავსი
შეიგრძნეს ალბათ მხატვრის თვალებმა.

ზეციდან მოსულ ანგელოზს გავდი
ოცნებით, ფიქრით დაღლილი ქალი,
სახის ნაკვთებში გაბნეულ ღიმილს
ვერას აკლებდა თავხედი ქარი!!

ნათია სირაძე-კახიძე

შენა ხარ ჩემი იმედი

შენი თვალები მხიბლავენ,
ვით ჯადოსნური თილისმა,
მწყურიან შენი ალერსი,
როგორც კახური ღვინის სმა.

შენა ხარ ჩემი იმედი,
გამხარებელი გულისა,
ჩემი დარდი ხარ, ვარდი ხარ,
დამათრობელი სულისა.

ედემის ბაღში მოსულო,
კაცთა გულების მპყრობელო,
ამომავალო ვარსკვლავო,
სიტურფევ, მიუწვდომელო.
ნათლის გვირგვინით შემკულო,
სიცოცხლევ დაუცხრომელო,

ელვისფერსახე მზიანო,
გაუფურჩქვნელი ვარდი ხარ,
უნაზეს თავაზიანო,
სუმბულზედ უფრო კარგი ხარ.

იფიქრებს კაცი, როს გხედავს,
სანეტაროა სამყარო,
აწ მსურს სიცოცხლე და მინდა,
გულს ვარდი შემოგაყარო.
ალვაო ნაზად მრხეველო,
ნაკრძალში ამონაყარო.

სამშობლო

ღამეა, ღამე ვარსკვლავიანი,
რა დამაძინებს, შევცქერი მთვარეს,
ფიქრებმა ირგვლივ შემოხვეულმა,
მთლად საქართველო შემომატარეს.

გული სიამით მიცემს, მიმღერის,
ვხედავ სამოთხეს აყვავებულსა,
მისი სიკეთით გახარებული,
გალაღებული ავყვები გულსა.

აყვავებულო, დამშვენებულო,
შვებას ანიჭებს იგი ჩემს სულსა,
მეც სიამაყით მაღლიდან დავცქერ,
სამოთხედ ქცეულ ჩემსა მამულსა.

და დღევანდელი მისი დიდება,
მომაგონებდეს მისსა წარსულსა.

ხან თვალებსა მჭრის მის ბრწყინვალება,
ხანაც ვხედავ დანაცრებულსა,
ხან განდიდებულს შარავანდედით,
ხან კიდევ მწარედ დაღონებულსა.

ხან თავისუფალს, გაძლიერებულს,
ხან მტრებისაგან დამონებულსა,
ხან „ფრთამოტეხილ „არწივს“ ემსგავსა,
ხან პრომეთეოსს, გმირსა ქებულსა.

* * *

შეგხვდი რაღაც განგებისად,
მოგაპყარი თვალი,
გეფიცები, არ მინახავს მე შენფერი ქალი.
შენს თვალებს ვერ შეედრება,
თვით ზურმუხტის თვალი,
ლაღადა ხარ ამოსული, ვით ლერწამი ველად.
რა ვიხილე შენი რხევა, მე შევიქენ ხელად,
ამ დღიდან შენ დაუდექი,
ჩემს გულს მუდმივ მცველად.
და ვგრძნობ არვის დავანებებ,
ამ გულს გასაქილად,
მოციმციმე თვალები გაქვს,
სადარი ხარ მზისა.
მორკალური წარბები გაქვს,
როგორც მშვილდი ბზისა,
სიტურფით ვარდს ემსგავსები,
სათნოებით ხოხობს,
ერთხელ მაინც ჩამახუტე,
ჯერ გაუშლელ კოკორს.
მოხდენილად გაზრდილი ხარ,
გულმკერდი გაქვს სრული,
მკერდს გიმშვენებს ორი ბორცვი,
კოკრად ამოსული,
მე მაგათზე ოცნებაში ამომძვრება სული!..

ნეგუსი მოლაშვილი

ავადმყოფი კაცის ფიქრები



ფიქრები, ფიქრები, ფიქრები: — რაზე არ დაგაფიქრებს ეს ცხოვრება, თუ არ გეზარება, დაჯექი და იფიქრე რამდენიც გინდა, რომელი სამსახურში დაგაგვიანდება.

„ავადა ვარ, ავადა, მოდი სანახავადა“, არა, სანახავად მოსვლას არვისა ვთხოვ, აი, მე თვითონ რომ მივდივარ ექიმების სანახავად, ტკივილისგან შეწუხებული, ყვარლის საავადმყოფოში: — რეგისტრატურაში ვკითხულობ: არის თუ არა უროლოგი ადგილზე, ვამბობ, რომ სასწრაფოდ მჭირდება დახმარება, სისხლი მიედინება საშარდე მილიდან, პასუხი: „უროლოგი ხვალ იქნება!“... იმედი მიცრუვდება, გამოვდივარ საავადმყოფოდან, სასწრაფოდ ვიყვან ტაქსს და მივდივარ თელავში, რეფერალურ საავადმყოფოში: — არც იქ მხვდება უროლოგი ადგილზე, — მითხრეს პოლიკლინიკაში იქნებაო, არც იქ არ დამხვდა უროლოგი ადგილზე — სისხლი კი მიედინება, მუხლები მისუსტდება, წაქცევაზე ვარ! კიდევ კარგი დაცვის ყარაული მეხმარება სკამზე დაჯდომაში... უხ, თქვენი დედა... აღმომხდა გამწარებულს. დაცვის ყარაული პატარა ბიჭი იყო, მაგრამ დიდი ადამიანი გამოდგა: — რომ შემატყო, რა მდგომარეობაში ვიყავი, გულისხმიერება გამოიჩინა, ამოიღო მობილური და ექიმს დაურეკა, ექიმი მალე დაბრუნდა კაბინეტში, მიმიღო, გამომკითხა მდგომარეობა, მე ჩემი ავადმყოფობის ისტორია თან მქონდა. ექიმმა ისტორიის დათვალიერება დაიწყო. ... 1953 წელს გადატანალი მაქვს ტროპიკული მალარია, 1956 წელს გაკეთებული მაქვს მარცხენა თირკმლის ოპერაცია კენჭის ამოღებით, 1973 წელს ამოღებული მაქვს მარცხენა თირკმელი — (ნეფროქტომია). მარცხენა თირკმლის ამოკვეთის შემდგომი მდგომარეობა: ერთად ერთი მარჯვენა თირკმლის კისტები, ქრონიკული პიელონეფრიტი, პროსტატის ჰიპერპლაზია ქირურგიული კაფსულის კალციფიკატებით, თირკმელების ქრონიკული უკმარისობა, მარცხენამხრივი საზარდულის თიაქარი, ნაღვლის ბუშტში კენჭები, პანკრიასის თავზე ისახება 8x5 მმ. ზომის ჰემოგენური შიგთავსის კისტა, ღვიძლი ნეკნის რკალიდან გამოდის 2-3 თითის დადებაზე (გადიდებული). დღეის მდგომარეობით იმყოფება დიალიზზე. სამკურნალო და შრომითი რეკომენდაციები: — პაციენტი საჭიროებს რეგულარულ უროლოგიურ და ნეფროლოგიურ მეთვალყურეობას და სათანადო მკურნალობას. ექიმი — ჩაჩხიანი... ცნობის გაცემის თარიღი 02.12, 2014 წ.

ექიმმა გაოცებულმა შემომხედა, გაუკვირდა ფეზე რომ ვიდექი. (ვიდექი, რო?!) გამომიწერა წამლები სისხლდენის შესაჩერებლად. წამლები შევიძინე და დავბრუნდი ყვარელში.

მეორე დღეს ისევ მივედი ყვარლის საავადმყოფოში, ისევ ვიკითხე უროლოგი. რეგისტრატურაში მიპასუხეს: უროლოგი ხვალ იქნებაო. სისხლი ქვეშიდან ხომ გამდიოდა, ახლა თავში ამივარდა: — სად მამაჩემთან დადიან ექიმები, მეთქი... მე რომ ხმამაღლა დავიწყე ჩხუბი, ჩემს წინ ერთი ახალგაზრდა ქირურგი „კოდის წიწილასავით აიჯაგრა:“ — რასა ჩხუბობ, რომ ჩხუბობო, მეც ავიჯაგრე და ხმამაღლა ვუპასუხე: მე, ავადმყოფი როცა მოვდივარ, აქ უნდა დამხვდეთ ექიმები ადგილზე და არა სადღაც იაროთ მეთქი. მან მომაძახა — ხელფასი შენ გადაუხადე და ადგილზე დაგხვდებიანო. მალე მივხვდი, რომ ექიმებს ტყუილად ვადანაშაულებდი და მივაძახე: თქვენ რაში ტყუიხართ, თქვენი ზემდგომის... და კიდევ იმათ ზემდგომის... რომ თქვენთვის წესიერი ხელფასი ვერ მოუციათ და თქვენც მართლა ნინილებივითა ხართ გაბნეული სხვადასხვა საავადმყოფოებში!... შევბრუნდი რეგისტრატურაში და მოვითხოვე „აჩოტიდან“ მოხსნა, დამაკმაყოფილეს. გურჯაანში დიალიზზე დავდივარ და ვიფიქრე იქ მაინც ვნახავდი უროლოგს, იქ კი მიპასუხეს, უროლოგი „პრაზდნიკებზე“ არ იქნებაო. გამოვტრიალდი გამშრალი, საითაც გავიქეცი, იქით წავიქეცი! კიდევ კარგი თელაველი ექიმის მიერ გამოწერილმა წამლებმა მარგო, სისხლისდენა შემიჩერდა. მადლობას სახალხოდ ვუცხადებ იმ თელაველ პოლიკლინიკის დაცვის თანამშრომელს, რომელიც ექიმის მოძებნაში დამეხმარა, ის რომ არა, ახლა ხომ სუდარა გადაფარებული დავხვდებოდი აღდგომის დღესასწაულს!

ჯანდაცვა უფასოა! აცხადებს ჩვენი მთავრობა. ის ჯანდაცვა, რომელიც რეგიონებში არ არის სათანადო აპარატურით მომარაგებული. ექიმები კი ბებრის კბილებივით არიან გაფანტული სხვადასხვა საავადმყოფოში საშოვარზე გადაგებულნი, ხოლო სადაზღვევო კომპანიები ბიუჯეტს ყვლეფავენ და სათანადო მომსახურებას არ უნევენ მოსახლეობას.

დღეის მდგომარეობით პირადად მე მძიმე მდგომარეობაში ვარ, მესაჭიროება 7 ცალი ანტიბიოტიკი, რომლის საერთო ღირებულება 490 ლარია, ხოლო ამ მოკლე ხანში 4800 ლარი მაქვს დახარჯული მარტო წამლებში და პამპერსებში. 60 წელინადია მძიმე ავადმყოფი ვარ, 16 წელია ჩემი მეუღლე ქმედუუნაროა. ამ წლების განმავლობაში არავითარი სოციალური დახმარება არ მიმიღია — გარდა ამ 2 თვისა — თვეში 100-100 ლარი, რომელიც გამგეობამ დამინიშნა, როგორც დიალიზზე მყოფს, (გადაადგილებისთვის ვხარჯავ თვეში 350 ლარს).

გასულ წელს ყვარლის სოცსააგენტოში შევიტანე განაცხადი დახმარების მოთხოვნის შესახებ. თან დავუთვე ჩემი ავადმყოფობის ისტორია ფორმა-100, რომლის მონაცემების მიხედვით მეკუთვნოდა დახმარება. (ვარ მეოთხე კატეგორიის ავადმყოფი). მიუხედავად ამისა, უკან სოცმუშაკი მომადევნეს, რომელმაც მითხრა — მოსვლისთანავე რომ თქვენზე ზღაპრებსა ყვებიან ხალხში, აბა რა ქულები უნდა მოგანიჭოო. ხალხი იმ ზღაპრებს ყვებიან, რომ ორ-ორი შვილი იტალიაში მყავს და ოქრო-ვერცხლი თავზე გადაგვდის?!

ზღაპრებს რომ ყურს უგდებენ, რატომ იმას არ იძახიან, რომ იტალიაში ჩემი შვილიდან ერთ-ერთი ორ წელზე მეტი ქიმიაზე იჯდა და გულის სიმსივნის დაავადებით იტანჯებოდა და ყოველდღიურად სიკვდილს ებრძოდა. იმას რატომ არ იძიებენ, საზღვარგარეთ თავის შენახვა რა ჯდება. იმას რატომ არ იძიებენ, სამ-სამ მძიმე ავადმყოფს ერთი ოჯახიდან პირში სული როგორ გვიდგა!

ამას წინათ ყვარლის გამგეობაშიც შევიტანე განაცხადი დახმარების შესახებ (წამლების საყიდლად ფული არ გვყოფნის) იქიდან ჯერ ჩამი-ჩუმი არ ისმის.

სანამ შემეძლო არავისთვის არაფერი არ მითხოვია, თხოვნა ჩემი სტილი არ არის. ახლა იმის გამო, რომ წამლის ფული შემომაკლდა, მუხლებზე ვერავის ვერ დავუჩოქებ და ხელს ვერ გავიწვდი!..

იტალიაში ჩემი შვილი იქაური ექიმების დახმარებით და ყურადღებით 100 პროცენტით განიკურნა. მადლობა იქაურ სამედიცინო მომსახურებას. ყვარელში კი ნორმალური საავადმყოფო არ გაგვაჩნია.

ნეგუსი მოლაშვილი

ავსტრიული კომპანია საქართველოს მარცვლოვანი კულტურების ახალი ჯიშების თესლს გადასცემს

მარცვლოვანი კულტურების მწარმოებელი ავსტრიული კომპანია SAATBAU სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრს სხვადასხვა რეგიონში არსებულ საცდელ-სადემონსტრაციო ნაკვეთებზე გამოსაცდელად მარცვლეული კულტურების ახალ ჯიშებს გადასცემს.

როგორც „ფორტუნას“ სოფლის მეურნეობის სამინისტროდან აცნობეს, აღნიშნული შეთანხმების დეტალები სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევით ცენტრის დირექტორმა, ლევან უჯმაჯურიძემ და ავსტრიული კომპანიის SAATBAU დირექტორმა, კარლ ფიშერმა დღეს გამართულ შეხვედრაზე განიხილეს.

„ჯიშთა გამოცდას და პირველად მეთესლეობას სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის საქმიანობაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა. აქედან გამომდინარე, მარცვლოვანი კულტურების მწარმოებელ ავსტრიულ კომპანიასთან სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი რამდენიმე წელია თანამშრომლობს. უკვე მესამე წელია, საქართველოს მასშტაბით ცენტრის საცდელ-სადემონსტრაციო ნაკვეთებზე SAATBAU-ს მარცვლოვანი ჯიშების, კერძოდ თავთავიანი კულტურების (ხორბლის რამოდენიმე ჯიში, ქერი, შვრია) გამოცდა მიმდინარეობს“, – განაცხადეს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში.

მათივე ინფორმაციით, შეხვედრაზე მხარეებმა უკვე გადმოცემული ჯიშების (რბილი ხორბლის 8 ჯიში, ჭვავის — 1 ჯიში და ქერის – 1 ჯიში) გამოცდით მიღებული შედეგები განიხილეს. სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის თანამშრომლებმა ავსტრიული კომპანიის წარმომადგენლებს მიმდინარე კვლევების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს.

შეხვედრაზე სამეცნიერო მიმართულებით და ჯიშთა გამოცდის კუთხით თანამშრომლობის ახალი მიმართულებები გამოიკვეთა. ავსტრიული კომპანიის ხელმძღვანელმა ცენტრის თანამშრომლებს გააცნო მარცვლოვანი კულტურების ის ახალი ჯიშები, რომლებსაც სადემონსტრაციო ნაკვეთებზე გამოცდის მიზნით სამეცნიერო-კვლევით ცენტრს გადასცემს. აღნიშნული ჯიშების გამოცდას პირველადი მეთესლეობის განვითარებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭება.

სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორ ლევან უჯმაჯურიძის განცხადებით, ავსტრიული კომპანია SAATBAU მჭიდროდ თანამშრომლობს ცენტრის მმართველობაში არსებულ შპს „მარცველულის ლოჯისტიკის კომპანიასთან“ და თანამშრომლობის ფარგლებში, ჯიშთა გამოცდის მიზნით, მარცვლეულ კულტურებს – ხორბლის, ქერის, ჭვავის, მზესუმზირის, კარტოფილის, სოიოს და სიმინდის თესლებს გადასცემს.

„კომპანია SAATBAU საქართველოში 2012 წლიდან, კომპანია „ნობლექსის“ დახმარებით ოპერირებს. სათესლე მასალის გამრავლების პირველი შედეგი უკვე სახეზეა – წელს საქართველოში ხორბლის ორი ჯიშის გამრავლება გახდა შესაძლებელი. დღეს მიღწეული შეთანხმების თანახმად, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრს და „მარცვლეულის ლოჯისტიკის კომანიას“ საქართველოს სხვადასხვა კლიმატურ პირობებში გამოსაცდელად სხვა ახალ კულტურებსაც შევთავაზებთ“, – განაცხადა კომპანია SAATBAU-ს დირექტორმა, კარლ ფიშერმა.

სამეცნიერო-კველვით ცენტრში გამართულ შეხვედრას შპს „მარცველული ლოჯისტიკის კომპანიის“ დირექტორი გიორგი ღუღუნიშვილი და მარცვლოვანი კულტურების კვლევის სამსახურის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, კომპანია SAATBAU-ს დირექტორმა, კარლ ფიშერმა დედოფლისწყაროს რაიონში სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ბაზები დაათვალიერა და არსებული ჯიშების გამოცდის პროცესს ადგილზე გაეცნო. სტუმარი ჯიღაურაში ვაზისა და ხეხილის სარგავი მასალის წარმოების ცენტრშიც იმყოფებოდა და სოფელ წილკანის ერთწლოვანი კულტურების მეთესლეობის საკვლევი სადემონსტრაციო ბაზაც დაათვალიერა.

ყვარლის მუნიციპალიტეტი პრივატიზების მიზნით აცხადებს აუქციონს ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შემდეგ ქონებაზე

ლოტის №	ქონების დასახელება და მისამართი	არა-სასოფლო მიწის ფართობი (კვ.მ.)	შენობა-ნაგებობის ფართობი (კვ.მ.)	საკადასტრო კოდი	საწყისი ფასი (ლარი)	„ბე“ (ლარი)	ბიჯი (ლარი)	მონაწილის ბილეთი (ლარი)
1.	ქ. ყვარელი, (სათბურებთან)	3088	29	57.06.52.234	7000	1400	350	50
2.	ქ. ყვარელი, (სათბურებთან)	818	18	57.06.52.235	2400	480	120	50
3.	ქ. ყვარელი, ი.ჭავჭავაძის ქ. №69-ში მდებარე ყოფ. სავაჭრო ცენტრი	2998	1) 3445; 2) 429; 3) 30;	57.06.56.133	400000	80000	20000	50
4.	ქ. ყვარელი, სააკაძის ქ. №2-ში მდებარე ყოფ. რედაქციის II-ე სართული	წილობრივად	468.4	57.06.59.080.01.501	22588	4518	1130	50
5.	ქ. ყვარელი (ბურსის მიმდებარე)	735	-	57.06.68.649	2205	441	110	50
6.	ქ. ყვარელი (ბურსის მიმდებარე)	670		57.06.68.653	2010	402	101	50
7.	ქ. ყვარელი (ბურსის მიმდებარე)	775		57.06.68.652	2325	465	116	50
8.	ქ. ყვარელი (ბურსის მიმდებარე)	774		57.06.68.651	2322	465	116	50
9.	ქ. ყვარელი (ბურსის მიმდებარე)	774		57.06.68.650	2322	465	116	50
10.	ქ. ყვარელი (ბურსის მიმდებარე)	711	-	57.06.68.648	2133	427	107	50
11.	ქ. ყვარელი (ბურსის მიმდებარე)	665	-	57.06.68.647	1995	399	100	50
12.	ქ. ყვარელი (ბურსის მიმდებარე)	620		57.06.68.646	1860	372	93	50
13.	ქ. ყვარელი (ბურსის მიმდებარე)	575		57.06.68.645	1725	345	86	50
14.	ქ. ყვარელი (ბურსის მიმდებარე)	655		57.06.68.644	1965	393	98	50
15.	ქ. ყვარელი (ბურსის მიმდებარე)	881	-	57.06.68.642	2643	529	132	50
16.	ქ. ყვარელი (ბურსის მიმდებარე)	693		57.06.68.643	2079	416	104	50
17.	სოფ. ზინობიანის ყოფ. სასურსათო მაღაზია	402	212,1	57.03.54.010	16 000	3200	800	50
18.	ს. შილდის მუსიკალური სკოლა	2060	-	57.07.57.072	48 000	9600	2400	50
19.	ს.საბუე	2234	-	57.09.57.121	15 800	3160	790	50
20.	ს. კუჭატანი (ყოფილი გარაჟი)	24653	-	57.05.53.010	99 000	19800	4950	50
21.	ს. კუჭატანი (ყოფ. სადისპეჩერო)	4758	1) 129,2; 2) 149,6; 3) 13;	57.05.53.008	34 000	6800	1700	50
22.	ს. კუჭატანი (ყოფილი აბანო)	573	95,2	57.05.55.008	5 700	1140	285	50
23.	ქ. ყვარელი (ყოფ. სახანძრო)	1173	1) 616; 2) 83; 3) 18;	57.06.57.351	112 600	22520	5630	50
24.	ქ. ყვარელი (ჭაბურღილი საგზაოსთან)	20	-	57.06.60.069	4 500	900	225	50

25.	ყვარლის ქონების დასახელება	სავარაუდო წონა (კგ)	საწყისი ფასი	„ბე“ (ლარი)	ბიჯი (ლარი)	მონაწილის ბილეთი (ლარი)
	ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შავი (მასიური) მეორადი ნედლეული (ჯართი)	13 000	5 720	1144	286	50



9/12/2016 kancelaria.cloud.gov.ge//nomfileserver/GetFile?file_id=039077255794987703 70&obj_name=A&SessValue=5ZBaQYmwTOXzC8NpluvU83g0FbrLv2...

ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA990116726812316

№ 556 **12 / სექტემბერი / 2016 წ.**

ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების მიზნით საჯარო აუქციონის გამოცხადების შესახებ

1. გამოცხადდეს უპირობო საჯარო აუქციონი მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების მიზნით და დამტკიცდეს აღნიშნული ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია (დანართი №1).

2. დაევალოს ყვარლის მუნიციპალიტეტის საპრივატიზაციო და სააუქციონო კომისიის თავმჯდომარეს მალხაზ ხიზანიშვილს აუქციონის შესახებ ინფორმაციის კანონმდებლობით გათვალისწინებულ საინფორმაციო საშუალებებში გამოქვეყნება.

3. აუქციონის ჩატარება უზრუნველყოს ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2015 წლის 11 მაისის №330 ბრძანებით შექმნილმა ყვარლის მუნიციპალიტეტის „საპრივატიზაციო და სააუქციონო“ კომისიამ.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გურჯაანის რაიონულ სასამართლოში ერთი თვის ვადაში (მის: ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24).

საფუძველი: „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილება; ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 10 თებერვლის №4 დადგენილება „ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზების, საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ“ და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის "ე.ე" ქვეპუნქტი; 61-ე მუხლის მესამე პუნქტის "ა." ქვეპუნქტი.

9/12/2016 kancelaria.cloud.gov.ge//nomfileserver/GetFile?file_id=039077255794987703 70&obj_name=A&SessValue=5ZBaQYmwTOXzC8NpluvU83g0FbrLv2...

ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებელი ილია მზეკალაშვილი

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია:

მაქსიმალური ფასის შემოთავაზება, რომელიც უნდა აღემატებოდეს გამოცხადებულ საწყის ფასს ბიჯის გათვალისწინებით.

2. სააუქციონო პირობები:

1. მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას ქონების შემძენი შეიძლება იყოს საქართველოს ფიზიკური პირი ან კერძო სამართლის იურიდიული პირი ან ასეთ პირთა გაერთიანება, რომლის ქონებაშიც მუნიციპალიტეტის ან საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მონაწილეობის წილი 25%–ზე ნაკლებია.

2. აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი (შემდგომში მონაწილე) აუქციონის რეგისტრატორს წარუდგენს:

ა) განაცხადს, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილეზე, ყვარლის მუნიციპალიტეტის ქონების დასახელებას, ყვარლის მუნიციპალიტეტის იმ ქონების საწყის ფასს, რომლის შეძენაც სურს მონაწილეს;

ბ) „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს; „ბე“-ს გადახდა უნდა მოხდეს ყვარლის მუნიციპალიტეტის შემდეგ საბანკო ანგარიშზე: სახელმწიფო ხაზინა, ხაზინის ერთიანი ანგარიში, სახაზინო კოდი: 300568800 (პრივატიზებისათვის);

გ) აუქციონში მონაწილის ბილეთის ფასი 50 ლარი, საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში: 200122900; მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, კოდი: 220101222; სახაზინო კოდი: 300563390; 300563288; 300563313.

დ) პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლს (ფიზიკური პირის შემთხვევაში);

ე) ნოტარიალურად დამოწმებულ მინდობილობას, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ვ) ნოტარიულად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს და განაცხადის შეტანის მომენტისთვის მოქმედ ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

3. მონაწილეს უფლება აქვს „ბე“-ს დაუკავებლად აუქციონში მონაწილეობაზე უარი განაცხადოს, მხოლოდ განაცხადის მიღების პერიოდში.

4. აუქციონის დამთავრების შემდეგ დგება ოქმი, რომელიც წარმოადგენს წერილობით ხელშეკრულებას, ოქმს ხელს აწერს მყიდველი და ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის აუქციონის ორგანიზების მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიის თავმჯდომარე, როგორც გამყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენელი.

5. თუ აუქციონში გამარჯვებული პირი უარს განაცხადებს აუქციონის შედეგების ოქმის ხელმოწერაზე, მას ჩამოერთმევა აუქციონში გამარჯვებულის სტატუსი და შეტანილი „ბე“ არ დაუბრუნდება.

6. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლების კრიტერიუმია საწყის გასაყიდ ფასსზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა და აუქციონის პირობების დაკმაყოფილება;

7. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე გადაიხადოს ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო საფასური, რომელიც შეესატყვისება მის მიერ აუქციონზე დასახელებულ საბოლოო ფასს.

8. გარიგებათა გაფორმების წესი და მყიდველის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის 669 დადგენილებისა და ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 10 თებერვლის 4 დადგენილების „ყვარლის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად.

9. აუქციონი ტარდება 2016 წლის 13 ოქტომბერს 15 საათზე. აუქციონში მონაწილეობაზე განაცხადების მიღება მიმდინარეობს 2016 წლის 14 სექტემბრიდან 13 ოქტომბრის ჩათვლით 12 საათამდე, სამუშაო დღეებში. მისამართი: ქ. ყვარელი, კუდიგორის ქ. 1

10. დამატებითი ინფორმაცია საპრივატიზებო ობიექტების და აუქციონი ჩატარების შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ ქ. ყვარელი, კუდიგორის ქ. 1-სი მდებარე ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობის მე-2 სართულზე; ტელეფონი 599 855 993 ; 599 855 966; ყვარლის მუნიციპალიტეტი.

რა გავაკეთოთ, როდესაც ადამიანები ვერ ხედავენ ჩვენს სიკეთეს

სტატიის სათაურის წაკითხვის შემდეგ, ალბათ ბევრ თქვენგანს გაახსენდა რამდენჯერ ჰქონია მსგავსი შემთხვევა. დღევანდელ რეალობაში ბევრი ადამიანი გვხდება, რომლებსაც არ შეუძლიათ ჩვენი კარგი ქმედების დანახვა.

მაგრამ რატომ ვაკეთებთ სიკეთეს? იმიტომ არა რომ სხვებმა დაინახონ, რადგან თუ სიკეთის კეთების მიზანი შემდგომ სამაგიეროს მიღებაა, ეს არასწორია. ყველა რელიგია ასწავლის თავის მიმდევრებს, რომ აკეთონ კეთილი საქმე ყოველგვარი ანგარების გარეშე და ამასთან ეს არის ისეთი წესი, რომელსაც ყველა ჩვენთაგანს ასწავლიდნენ ბავშვობიდან, თუმცა სამწუხაროდ, მოზრდილ ასაკში ბევრ ადამიანს ავიწყდება ამის შესახებ.რა თქმა უნდა, ყველა ვთანხმდებით, რომ სიკეთის გაკეთება კარგია, მაგრამ რა გავაკეთოთ მაშინ, როდესაც სხვა ადამიანები ვერ ხედავენ მას, ან ხედავენ და მალევე ივიწყებენ? დარწმუნებული ვარ, ბევრ თქვენგანს ჰქონია ასეთი შემთხვევა. ჩნდება კითხვა – რა გავაკეთოთ ასეთ სიტუაციაში?

როგორ გავაგრძელოთ ცხოვრება ასეთ ადამიანებთან? ჩვენი მკითხველები სავარაუდოდ გაიყოფიან ორ კატეგორიად: ადამიანებად, რომლებიც ფიქრობენ, რომ საერთოდ უნდა ჩამოშორდნენ დაუნახავ ნაცნობებს, შეწყვიტონ ურთიერთობა და დაივიწყონ ისინი, რადგან დაუნახავი ადამიანები ამას იმსახურებენ. რა თქმა უნდა, ასეთ მიდგომას თავისი ლოგიკა აქვს და ყველა ადამიანის ინდივიდუალური გადასაწყვეტია. მეორე კატეგორია კი იტყვის, რომ ყველას თავისი ცხოვრება აქვს და არ დაიწყებენ დაუნახავი ადამიანების განსჯას, მეტიც ასეთ კატეგორიაში არიან ადამიანები, რომლებიც ამ ყველაფრის მიუხედავად, მაინც გააგრძელებენ სიკეთის კეთებას. იცით ასეთ დროს რა მოხდება? დაუნახავი ადამიანები გააგრძელებენ დაუნახავად ცხოვრებას და არაფერი შეიცვლება.

ჩემი აზრით, ყველაზე კარგი ვარიანტია, რომ თქვენი ინიციატივით აღარ გაუკეთოთ სიკეთე იმ ადამიანებს, რომლებიც ვერ ხედავენ თქვენს კეთილგანწყობას, რადგან ისინი ამას არ იმსახურებენ. თუმცა, მიუხედავად ამისა, აუცილებლად უნდა დარჩეთ ღირსეულ ადამიანად და დახმარების თხოვნის შემთხვევაში, კეთილი საქმე მაინც გაუკეთოთ. ასეთ შემთხვევაში ეს ყველაზე სწორი გადაწყვეტილებაა, რითაც აჩვენებთ ასეთ ადამიანებს, რომ არასწორად მოიქცნენ და ამას თქვენ აკეთებთ არა სამაგიეროს გადახდით, არამედ სიკეთის დაბრუნებით.

თუმცა ხაზს ვუსვამ, რომ ეს ყველაფერი არ უნდა განხორციელდეს ჩვენი ინიციატივით. რადგან ადამიანებს უნდა ესმოდეთ, რომ როდესაც სიკეთეს გვიკეთებენ უკან დაბრუნება თუ არა, მინიმუმ ამ სიკეთის დანახვა მაინც უნდა შეგვეძლოს.

დავით კენჭაძე, ფსიქოლოგი

როგორ გვიბრუნდება სიკეთე უკან

ერთ დღეს კაცმა ხანში შესული ქალი შენიშნა გზის მეორე მხარეს. მიუხედავად სიბნელისა, აშკარად შეამჩნევდით, რომ მას დახმარება სჭირდებოდა. როდესაც კაცი ქალბატონის ავტომობილს მიუახლოვდა, ის იღიმებოდა, თუმცა ეტყობოდა, რომ რაღაც აწუხებდა. „საათზე მეტია, რაც აქ ვდგავარ და არავინ გაჩერდა დასახმარებლად“. – თქვა ქალმა და თან უცნობ მამაკაცზე ფიქრობდა. „ხომ შეიძლება რამე დამიშავოს? მშიერი და ღარიბი ჩანს, მე კი ერთი ხანშიშესული დაუცველი ქალი ვარ“.

თუმცა როგორც ჩანს კაცი ხვდებოდა, რას გრძნობდა ქალი. „როგორ შემიძლია დაგეხმაროთ? ავტომობილში რატომ არ ზიხართ, იქ ხომ უფრო თბილა?“ – ჰკითხა მან თბილად ქალს და ყოველგვარი ეჭვი გაუფანტა. „ჩემი სახელია, ბრაიან ანდერსონი“.

ქალბატონის ავტომობილს დიდი პრობლემა არ აღმოაჩნდა. ბრაიანმა ცოტაოდენი ძალის გამოყენებისა და ხელების დასვრის ხარჯზე ადვილად შეძლო ავტომობილის შეკეთება.

ვიდრე ბრაიანი ავტომობილის შეკეთებას ცდილობდა, ქალი მას საუბრით ართობდა. აღმოჩნდა რომ ქალი ამ უბანს არ იცნობდა. „ არ შემიძლია გამოვხატო, რაოდენ მადლიერი ვარ, რომ დამეხმარეთ“. – უთხრა მან ბრაიანს.

ბრაიანს გაეღიმა და ავტომობილის შემოწმება განაგრძო. შეკეთების შემდეგ ქალმა ბრაიანს ჰკითხა, თუ მისი რამდენი მართებდა. „ნარმომიდგენია, რამდენი ხნით მომიწევდა აქ ყოფნა, თქვენ რომ არ გამოჩენილიყავით. გთხოვთ, მითხარით რამდენი მმართებს თქვენი, ყველანაირ თანხაზე თანახმა ვარ“. ბრაიანს ეს წამითაც არ გაუვლია გულში. ის ადამიანს ეხმარებოდა, რომელსაც დახმარება ესაჭიროებოდა, ღმერთმა იცის რამდენს გაუწვდია დახმარების ხელი მისთვის წარსულში. ის მთელი ცხოვრება ასე ცხოვრობდა და არ შეეძლო სხვაგვარად მოქცევა.

„თუ ნამდვილად გსურთ მადლობა გადამიხადოთ“, უთხრა მან ქალბატონს. „როცა მომავალში ვინმე გაჭირვებულს ნახავთ – დაეხმარეთ. დაფიქრდით ჩემზე“.

ამის შემდეგ კაცი ქალს დაემშვიდობა და მანამ ფეხი არ მოუცვლია, ვიდრე მისი ავტომობილი ბინდში არ ჩაიკარგა.

რამოდენიმე მილის გავლის შემდეგ, ქალმა პატარა სასადილო დაინახა. ძლიერ მოშიებული იყო, სურდა რაიმე ეჭამა და ამიტომაც ავტომობილი გააჩერა და შეიარა. სასადილო ღარიბული ჩანდა. მიმტანი, ახალგაზრდა ქალი ღიმილით მიესალმა ქალბატონს და შეკვეთა გამოსთხოვა. მიმტანს ღიმილი სახიდან არ შორდებოდა მიუხედავად იმისა, რომ მთელი დღე ფეხზე იდგა, თანაც ქალმა შეამჩნია, რომ იგი 7–8 თვის ორსული იქნებოდა. „ასეთ ღარიბ და გაჭირვებულ ადამიანს, როგორ შეუძლია ამდენის გაცემა“ – ფიქრობდა ქალი, როცა ბრაიანი გაახსენდა.

როდესაც სადილი დაასრულა, ქალმა ასდოლარიანი ბანკნოტა გაუწოდა ოფიციანტს. მიმტანი ხურდის მოსატანად წავიდა, თუმცა როდესაც უკან დაბრუნდა იქ არავინ დახვდა. გაკვირვებულმა მაგიდის ალაგება, რომ დაიწყო გადაშლილი უბის წიგნაკი შენიშნა, რომელზეც რაღაც ეწერა.

მიმტანს თვალზე ცრემლი მოადგა, როდესაც სიტყვები წაიკითხა: „შვილო, თქვენ ჩემი არაფერი გმართებთ. ცოტა ხნის წინ, მეც თქვენსავით მჭირდებოდა დახმარება და ისევე უანგაროდ დამეხმარნენ, როგორც ახლა თქვენ გეხმარებით. და თუ ნამდვილად გსურთ მადლობის გადახდა, გთხოვთ ნუ შეწყვეტთ სიკეთისა და სიყვარულის ამ ჯაჭვს“. წიგნაკის ქვეშ კიდევ 4 ასდოლარიანი ბანკნოტა იდო.

მიუხედავად იმისა, რომ უამრავი საქმე ჰქონდა, მიმტანს მთელი საღამო ახსენდებოდა ხანშიშესული უცნობი ქალი და მისი სიტყვები.

როცა ღამით დაღლილი სახლში დაბრუნდა და საყვარელ ქმარს გვერდით მიუწვა, რომელსაც მის ლოდინში ჩასძინებოდა, ახალგაზრდა ქალი ფიქრობდა: „როგორ მიხვდა უცნობი, რომ ჩვენ ეს ფული ასე გვჭირდებოდა? არადა როგორ წუხდა ამის გამო ჩემი უიღბლო ქმარი, რომელმაც სამსახური ახლახანს დაკარგა“ დაძინებამდე, ცოლმა ქმარს ნაზად აკოცა და ჩუმად ჩასჩურჩულა: „ყველაფერი რიგზეა. მე შენ მიყვარხარ, ბრაიან“.

რატომ გვიჭირს წონაში კლება?!

ზედმეტი კილოგრამების დაკლების მეთოდი ყველას თავისებური აქვს, თუმცა, ნუტრიციოლოგებს მაინც აქვთ ისეთი რჩევები და ზოგადი რეკომენდაციები, რომლებიც ჯანსაღი ჩვევების გამომუშავებაში და იმავდროულად წონაში კლებაშიც დაგვეხმარება.

1. წინასწარ დაგეგმვა ძალიან მნიშვნელოვანია, რაც საყიდლებზე წასვლას, ერთი კვირის ხილ-ბოსტნეულის და სხვა პროდუქტების მომარაგებას და პატარ-პატარა სალათების წინასწარ მომზადებას გულისხმობს. ყველაზე მეტად სწორედ ამ დროს მიჭირს ხოლმე: უცებ შიმშილის გრძნობა რომ მომეძალება, სასარგებლო სალათის გამზადება უბრალოდ მეზარება ან დრო არ მაქვს და ამიტომაც რაც ხელში მომხვდება, სწრაფად დასანაყრებლად იმას მივირთმევ. ძალიან ადვილია ერთ ჯერზე მთელი კვირის მარაგი სალათების მომზადება: წვრილად დაჭრით სასურველ ბოსტნეულს, ფოთლებს, მწვანილს, მოათავსებთ პატარა კონტეინერებში, ჰერმეტულად დაახურავთ თავს და შეინახავთ მაცივარში. მოხმარებამდე ცოტა ხნით ადრე ზეითუნს და სასურველ ძმარს მოასხამთ და სულ ესაა.

2. დიდი რაოდენობით ან პირიქით, ძალიან მცირე რაოდენობით ცილების მიღება ართულებს წონაში კლებას. ცილოვანი დიეტის დაცვა ხანგრძლივად არ არის სასურველი, ვინაიდან ამ დროს ბევრ ვიტამინს და მინერალს ვიკლებთ, რომელთაც ხილი და ბოსტნეული შეიცავს. თუმცა, ცილების მინიმუმამდე დაყვანაც არ არის კარგი აზრი, ვინაიდან ცილები დიდი ხნით დანაყრებაში გვეხმარება და ენერგიას გვაძლევს, ამიტომაც მნიშვნელოვანია დღის განმავლობაში საკმარისად მივიღოთ ცილოვანი საკვები.

3. მაღალკალორიული საკვების მიღებისას ის აზრი ვერ გიშველით, რომ სარბენ ბილიკზე აინაზღაურებთ ზედმეტ კილოკალორიებს. ნახევარი საათი სირბილი საშუალოდ 250 კკალ-ს წვავს, ხოლო ერთი ნაჭერი კრემიანი ან ფხვიანი ნამცხვარი კი საშუალოდ 300 კკალ-ს შეიცავს, ამდენად შრომა საკმაოდ დიდი მოგიწევთ ზედმეტი კალორიების დასაწვავად, რასაც ყოველთვის ვერ მოახერხებთ, შედეგად კი ზედმეტი წონა დაგროვდება.

4. სრულად უარის თქმა საყვარელ შავ შოკოლადზე, ნაყინზე ან კრემიან ნამცხვარზე არ არის გონიერი გადაწყვეტილება – უმჯობესია, მათი მცირე ულუფებით პერიოდულად მირთმევა, ვიდრე სრულად რაციონიდან ამოღება, რასაც ხშირად თავშეუკავებლობა და პირიქით, დიდი ოდენობით ასეთი კალორიული დესერტების მირთმევა მოსდევს.

ყვარლის ყოფილი აფთიაქის თანამშრომლები იუწყებიან, რომ 90 წლის ასაკში გარდაიცვალა პროვიზორი ნუნუ კუწნიაშვილი და მწუხარებაში თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების ადმინისტრაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ყვარლის №2 ბაგა-ბაღის აღსაზრდელი ნია მზექალაშვილი და თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს.

გახსენება

ავთანდილ ლოლიაშვილი



შენი მოგონება თითქოს შენს არყოფნას ამსუბუქებს, თითქოს ისევ ჩვენს შორის ხარ. უცნაურია ბედისწერა და უნდოა წუთისოფელი — სწორედ მაშინ მოგივლენს უმძიმეს ტრაგედიას, როცა საერთოდ არ ელი. ვინ იფიქრებდა შენისთანა ძლიერი და მუდამ შემართებული პიროვნების ასეთ უეცარ აღსასრულს? ერთი წელი გავიდა, რაც უმძიმესმა და უკურნებელმა სენმა, რომელმაც მოულოდნელად იჩინა თავი, შენი ბობოქარი და შინაარსიანი სიცოცხლე სულ მოკლე დროში დაასრულა. შენი ოჯახის, შენი შვილებისა და ახლობლების ყველა მცდელობა, არაფერი რომ არ დაუშურებიათ შენს გადაარჩენად, ამაო გამოდგა. დღევანდელი მედიცინა უძლური აღმოჩნდა...

გვიჭირს იმის დაჯერება, რომ აღარ ხარ ჩვენს შორის, თუმცა, შეიძლება ითქვას, მაინც ისევ ყველგან ხარ — შენს ლამაზ კარ-მიდამოში, ეზოში, ყველა ნივთში და საგანში, ფიქრებში, აზრებში... შენი ლანდი ალბათ კიდევ ძალიან დიდხანს არ დაგვტოვებს!

შენ ღირსეულად და კაცურად იცხოვრე ამ ცოდვიან წუთისოფელში. ბევრი ვერ დაიკვეხნის შენნაირ ადამიანობას და წესიერებას, ბევრს არ რგებია იმის პატივი, რომ ამქვეყნიდან კაცური კაცის სახელით წასულიყო, შენ ერთ-ერთი გამორჩეული გამონაკლისი ხარ.

ცხოვრების ორომტრიალმა ურთულესი გზებით გატარა. რად ღირს თუნდაც რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში მარტენის ღუმელთან მეფოლადედ მუშაობის უმძიმესი ათი წელი. პარალელურად უმაღლესი სასწავლებლის საღამოს განყოფილებაზე სწავლა. შრომა და სწავლა — ეს იყო შენი დევიზი და ცხოვრების წესი.

სწორედ საოცარი შრომისმოყვარეობის წყალობით შეძელი უბრალო გლეხის შვილმა, რომ დაგემთავრებინა უმაღლესი სასწავლებელი, ხოლო შემდგომში კი სამაგალითო სამეურნეო ხელმძღვანელად და ორგანიზატორად ჩამოყალიბდი. ათეული წლების მანძილზე მუშაობდი რაიონის ხელმძღვანელ ორგანოებში და სხვადასხვა წარმოება-დაწესებულებებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე და თავი არსად შეგირცხვენია. გქონდა დიდი ავტორიტეტი საზოგადოებაში, მშრომელებში, გყავდა ფართო სამეგობრო წრე, როგორც რაიონის მასშტაბით, ისე იმის ფარგლებს გარეთ.

ყოველთვის გახსოვდა და არ ივიწყებდი დიდი ილიას სიტყვებს, რომ „წუთისოფელი ცოდოსა და მადლის ჭიდილია“ და მთელი ცხოვრების მანძილზე ცდილობდი ამ ცოდოსა და მადლის ჭიდილიდან სწორი არჩევანი გაგეკეთებინა, ამ ქვეყანაზე მხოლოდ მადლი და სიკეთე გეთესა.

შენი გული და სახლი მუდამ ღია იყო მეგობრებისა და ახლობლებისათვის. უზომოდ თბილი და საიმედო მეგობარი იყავი ჭირსა თუ ლხინში. ძლიერი, ამაყი, მაგრამ ამავე დროს საოცრად თავმდაბალი, ზოგჯერ პატარა ბავშვივით გულუბრყვილოც კი. გიყვარდა მეგობრები და უყვარდი მთელ სამეგობროს. დროსტარებაც გამორჩეული იცოდი — ტრადიციული ქართული პურმარილი და ომახიანი თამადობა. შენს თამადობას ხომ არაფერი ჯობდა და ღვინის სმაში შენი ტოლ-სწორი კი სანთლით იყო საძებნელი ამ ქვეყანაზე.

ვაგლახ, რომ ყველაფერი უკვე სამუდამოდ დასრულდა შენთვის და მარადისობის ბურუსში ჩაიძირა. ჩვენ კი სათქმელად ისღა დგვრჩენია, თავი ბედნიერად ვიგრძნოთ, შენს გვერდით ცხოვრების სიამოვნება რომ გვარგუნა ბედმა.

წახვედი და წაიღე სიკეთით სავსე გული, რომელიც ყველას სიყვარულს იტევდა. კაცურად იცხოვრე და კაცურად გაიარე გზა წუთისოფლის დასასრულამდე. ძალიან დაგვაკლდი და ბევჯერ მოგვენატრება ერთად გატარებული დღეების სილამაზე. შენი ომახიანი თამადობა და სადღეგრძელოები, შენი გიტარა, შენი „სანტა ლუჩია“ და „ოჩი ჩორნიე“...

დასანანია, რომ შენი სახით კიდევ ერთი ღირსეული და მართალი კაცი დააკლდა ჩვენს საზოგადოებას!

დაგვრჩა მხოლოდ ლამაზი მოგონებები კაცზე, რომელიც შეუპოვრად და მედგრად ებრძოდა ცხოვრებას, რომელმაც მრავალ სიხარულთან ერთად არაერთი განსაცდელი და სირთულე მოუვლინა, მაგრამ ყველაფერს ღირსეულად გაართვა თავი და დარჩა მართალ კაცად ქვეყნის ხალხის, უფლის წინაშე.

სათქმელი ბევრი გვაქვს, მოგონებები, გნებავთ მოლანდებები, კიდევ დიდხანს გაგვახსენებს შენს უზადო პიროვნებას და ყოვლის მსახვრალი დროის დინება ვერ დაგვავიწყებს იმ ლამაზ ზღაპარს, რომელსაც შენი არსებობა და ცხოვრება ჰქვია, რომელიც იყო და აწ უკვე გარდასული დროის კუთვნილება გახდა:

„ჩვენი ცხოვრება არის ზღაპარი,
ბედის მიყოლა, ან არ მიყოლა,
ჩვენი ცხოვრება აბა რა არი,
ერთი იყო და არა იყო რა!“

როგორც დიდმა ილიამ ბრძანა — „ვისაც უნდა, რომ ღმერთი ასახელოს და ადიდოს, იმან ორი სახელი უნდა იქონიოს: ერთი აქ დასარჩენი, მეორე თან წასაღები“. მართლაც შენ ერთი შეუბღალავი სახელი თან წაიღე, მეორე კი — ისეთი სახელი დატოვე, რომ ამ სახელით შენი შვილები და შვილიშვილები თამამად და შეურცხვენლად ივლიან და იამაყებენ ამ ქვეყანაზე.

გჯეროდეს ჩვენო ავთანდილ სიმონიჩ, რომ შენი ხსოვნა არასოდეს წაიშლება!

გვინდა ვირწმუნოთ, რომ სიკვდილით არ მთავრდება ყოველივე, რადგან სიკვდილით სიცოცხლე ფასობს მხოლოდ!

არასოდეს დაგვავიწყდები... მშვიდად იძინე... დაე, უფალმა მფარველობა ნუ მოაკლოს შენს სამარადისო განსასვენებელს!

ალიმან ლაფაჩიშვილი

მარინე მირინაშვილი-მირზიკაშვილი

ჩვენთვის საყვარელო მარინე, უკვე ორი წელი გავიდა, რაც ჩვენს გვერდით აღარა ხარ. შენ უდროოდ მიატოვე მეუღლე და შვილები. დასანანია, რომ შვილიშვილებს ვერ მოესწარი. არც შენ არ გინდოდა, მაგრამ... ულმობელია სიკვდილი, ვის როდის დაადგება თავს არავინ იცის. მთლად ჯანმრთელი, უცებ გამოგვეცალე ხელიდან.

ხშირად გიხსენებენ შენი ამხანაგები, თანამშრომლები, მეზობლები, სადაც იყავი და იცხოვრე, ყველგან კარგი ადამიანის კვალი დატოვე. შენი უცხოელი მეგობრები დღესაც სინანულით გიხსენებენ, ყველას ენანები იმქვეყნიური ცხოვრებისათვის.

ჩვენი ერთად ცხოვრების მანძილზე ბევრი ადამიანიც დავკარგეთ, მაგრამ შენი დაკარგვით შევიგრძენი რა ყოფილა სიკვდილის არსი. გჯეროდეს, რომ შენი მეუღლის და შვილების გულში ყოველთვის იქნები. ნათელი ედგეს შენს სამუდამო სასუფეველს. ყველას გვიყვარხარ და გვენატრები.

ნოდარ მირზიკაშვილი

ვანო ფროდიაშვილის მონატრება



ჩვენო მოუშუშებელო ტკივილო, რა მოულოდნელად და უეცრად მიგვატოვე და რა უცბად გაირბინა ორმოცმა ტკივილით და ცრემლით სავსე დღემ. ჩვენი თვალებით ოთახებში ისევ დაგეძებთ, ჯერ კიდევ გვგონია, რომ ისევ აქ, ჩვენთან ხარ; ბევრს დასწყვიტე გული შენი გარდაცვალებით, მაგრამ მთავარია, რომ 67 წელი კაცურად იცხოვრე. გიყვარდა მეგობრებში ტრიალი, ყველას ტკივილი თუ სიხარული გულთან მიგქონდა, სიკეთის მთესველი და ერთგული იყავი ყველასთვის. მართალია შენმა სულმა გადაინაცვლა მარადისობაში, მაგრამ შენი ხსოვნა ყოველთვის იქნება ჩვენს გულებში და არც არასოდეს წაიშლება. უფალი იყოს შენი სულის შემწე, ვანო! ყველას ძალიან, ძალიან გვენატრები.

მეუღლე, შვილები

საზეიმო ღონისძიება გრანდიოზული ფეიერვერკით დასრულდა

განახლებული სკვერი შილდელების დასვენებისა და გართობის კერა გახდა

მიმდინარე წლის 9 მაისს, მსოფლიოს პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოებამ სამოცდამეთერთმეტედ აღნიშნა ფაშიზმზე გამარჯვების დღესასწაული, პატივი მიაგეს სამამულო ომში დაღუპულთა ხსოვნას, უკვე თითებზე ჩამოსათვლელ ომის ვეტერანებს მოეფერნენ და კიდევ ერთხელ შეახსენეს ადამიანებს მეორე მსოფლიო ომის საშინელი შედეგების შესახებ.

ფაშიზმის განადგურებაში გადამწყვეტი როლი მიუძღვის საბჭოთა არმიას და მისი შეიარაღებიდან ავიაციას, რომელიც ომის დასასრულს ბატონობდა ცაში, უმოწყალოდ ანადგურებდა გერმანელთა საბრძოლო ტექნიკას და ცოცხალ ძალას.

ყვარელში ერთეულებმა შეიძლება იცოდნენ, რომ სამამულო ომში ნაომარი ავიაციის ერთ-ერთი შენაერთი ომის შემდგომ დასახლებული იყო ე.წ. „კაზარმაში“, ხოლო მეორე სოფელ შილდაში.

1949 წელს მდ. დურუჯის ღვარცოფმა პირველი დარტყმა „კაზარმის“ ტერიტორიას მიაყენა და ათობით სამხედრო მოსამსახურე და მათი ოჯახის წევრები ტრაგიკულად გარდაიცვალნენ. ისინი დაკრძალული იქნენ ყვარლის სასაფლაოზე.

ტრაგედიის შემდგომ სამხედრო ნაწილი ყვარელში გაუქმდა, ხოლო შილდაში კიდევ დიდხანს ფუნქციონირებდა. სოფ. შილდის საზოგადოებრივი ცენტრის წინ არსებული და აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიები სამხედროებს ეკავათ და ოჯახებთან ერთად ცხოვრობდნენ. მათ შესანიშნავი ჯიშის ხეები დარგეს და წალკოტად აქციეს იქაურობა. მათ კეთილმეზობლური ურთიერთობა დაამყარეს ერთმანეთთან, სოფლელები სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს სთავაზობნენ, სამხედროები კი ძვირფასი საკვები პროდუქტებით ამარაგებდნენ.

სამხედრო ნაწილის „გარადოკში“ ფუნქციონირებდა მაღაზია, რომელსაც რუსები „ვაენტორგს“ ეძახდნენ, სადაც იმჟამად დეფიციტური პროდუქტები და საქონელი იყიდებოდა. აქ ყოველთვის რიგები იყო გამართული, რადგან შილდელების გარდა კახეთის მოსახლეობაც სარგებლობდა და იაფად იძენდა საკვებ პროდუქტებს, სამეურნეო საქონელსა თუ სხვადასხვა წვრილმანს.

სამოციანი წლების მიწურულს სამხედრო ნაწილი სხვაგან გადაიყვანეს და შილდელებს შესანიშნავად მოვლილი ბაღი შემორჩათ, რომელსაც სამხედროები „ბულვარს“ ეძახოდნენ (სოფლელები დღესაც ასე ეძახიან). სამწუხაროდ სოფლის მაშინდელმა თავკაცებმა ყურადღება მოაკლეს, ძვირფასი ჯიშის ხეების უმეტესობა გაიჩეხა, აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორია კი საკარმიდამო ნაკვეთებად გაანაწილეს. დიდი ხნის განმავლობაში „ბულვარი“ პირუტყვის სათარეშოდ იყო ქცეული.

ადგილობრივი ხელისუფლების არჩევნებში სოფლის მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა ნდობა თანასოფელელ ჯემალ შავერდაშვილს გამოუცხადა და იგი განსაკუთრებული მონდომებით შეუდგა სადეპუტატო მოვალეობის შესრულებას. პრობლემები კი უამრავი დახვდა ბატონ ჯემალს, მათი მოგვარება კი ერთეულ ადამიანებს არ შეეძლოთ, საჭირო იყო რაიმე ფორმით მოსახლეობის აქტიური ჩართვა.

ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ჯემალ შავერდაშვილის ინიციატივით დაფუძნდა „შილდის განვითარების ფონდი“, რომლის შემადგენლობაში გაერთიანდნენ თითქმის ყველა ასაკის ადამიანები.

ფონდის დაარსებიდან 2 წელია გასული და მისი აქტივისტების სამაგალითო მოქმედების შედეგად მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა, სოფლის იერ-სახეც შეიცვალა და გალამაზდა.

შილდელები ვერც კი წარმოიდგენდნენ, რომ „ბულვარი“ უმშვენიერეს დასასვენებელ და გასართობ პარკად გადაიქცეოდა; „ქუდურებიდან“ სოფლის სასაფლაომდე არსებულ ცენტრალურ გზაზე, თუ ახალი ასფალტი დაისხმებოდა; სანიაღვრე არხები თუ კალაპოტში მოექცეოდა; მარიამ ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის წინ თუ ასეთი სკვერი მოეწყობოდა; შილდის კულტსახლში, თუ სარემონტო სამუშაოები ჩატარდებოდა და ა.შ.

19 აგვისტოს საზეიმო ვითარებაში გაიხსნა რეაბილიტირებული სკვერი. საზეიმო ღონისძიებას დაესწრნენ საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი, საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი, კახეთის გუბერნიის წარმომადგენლები, კახეთის მუნიციპალიტეტის გამგებლები და საკრებულოს თავმჯდომარეები, ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს მოწვეულმა სტუმრებმა და ადგილობრივმა მოსახლეობამ.

შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართა ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ჯემალ შავერდაშვილმა. მან მოსახლეობის სახელით მადლობა გადაუხადა საქართველოს იუსტიციის მინისტრს, ქალბატონ თეა წულუკიანს, ასევე სახელმწიფო უწყების წარმომადგენლებს, ვინც პროექტის განხორციელებაში მიიღო მონაწილეობა. მან, ასევე აღნიშნა ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებლის ილია მზექალაშვილის მონდომება და აქტიური მხარდაჭერა პროექტის დროულად დამთავრებაში, რამაც შილდის მოსახლეობის ცხოვრებისეული პირობების გაუმჯობესებას შეუწყო ხელი.

გაიმართა საზეიმო კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ ტრიო „თოლია“, შილდის ფოლკლორული ანსამბლი „ნელქარისი“, შილდაში გაზრდილი სანაქებო მომღერალი ფანდურა ბექაური.

კონცერტში მონაწილეობა მიიღო ჩვენმა თანამემამულემ, საქვეყნოდ ცნობილმა მომღერალმა მერაბ სეფაშვილმა, რომელმაც სცენაზე მიიწვია ახალგაზრდობა და სიმღერის დროს პუბლიკა აიყოლია.

საზეიმო ღონისძიება გრანდიოზული ფეიერვერკით დასრულდა.

ალექსანდრე გიგილოშვილი

ბათუმის საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული

მიმდინარე წლის 13-17 ივლისს, ქ. ბათუმში ჩატარდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კრივის ფუძემდებლის, შაქრო ხუდოიანის სახელობის საერთაშორისო ტურნირი კრივში. აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობდნენ: უკრაინის, ბელორუსიის, რუსეთის, თურქეთის, საბერძნეთის, აზერბაიჯანის და საქართველოს ახალგაზრდა მოკრივეები.

ბრწყინვალედ იასპარეზა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრმა, ყვარლის სასპორტო სკოლის აღსაზრდელმა, 17 წლის გიორგი ლაფერაშვილმა (49 კგ. წონითი კატეგორია). ფინალამდე მან ყველა მეტოქე დაამარცხა დიდი უპირატესობით. ფინალურ ორთაბრძოლაში იგი დაუპირისპირდა აჭარის წარმომადგენელს ნუგზარ ტარიელაძეს. მეტად დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა მეტოქე და მოიპოვა ტურნირის გამარჯვებულის წოდება. (მწვრთნელები ზურაბ ტოსტიაშვილი, ფარნაოზ მაისურაძე).

უახლოეს მომავალში თურქეთის ქალაქ სტამბოლში გაიმართება დიდი საერთაშორისო ტურნირი კრივში, სადაც მონაწილეობას მიიღებს გიორგი ლაფერაშვილი, როგორც საქართველოს ნაკრების წევრი.

ვფიქრობთ, ჩვენი მოკრივე კვლავ წარმატებული დაუბრუნდება თავის რაიონს.

დალი ტატულიშვილი

დავლიოთ თუ არა ლიმონათი?

ლიმონათი გამაგრილებელი სასმელია. მას ახასიათებს მოტკბო-მომჟავო, წყურვილის მომკვლელი კარგი გემო და სასიამოვნო არომატი. გარდა ამისა, იგი, როგორც წესი, გაზირებულია (სითხეში ჩატუმბულია ნახშირორჟანგი), რის წყალობითაც დალევისას შუშხუნის სასიამოვნო შეგრძნებას ქმნის და უკეთესად კლავს წყურვილს. კლასიკური ლიმონათი ნატურალური ხილის წვენისგან, ნაყენისა და ვაჟინისგან მზადდება. ასე მომზადებულ ლიმონათს ადამიანის ორგანიზმზე დადებითად მოქმედი ქიმიური შემადგენლობა აქვს: მასში უხვადაა ორგანული მჟავები, მინერალური ნაერთები, ვიტამინები, არომატული ნივთიერებები, ნახშირწყლები და სხვა, რომლებიც არეგულირებს ორგანიზმის წყლის რეჟიმსა და ნივთიერებათა ცვლას. ასეთ ლიმონათებს მატონიზებელი (ტონუსის ამწევი) თვისებებიც ახასიათებს.

სამწუხაროდ, ნატურალური ლიმონათი დღესდღეობით იშვიათობაა. ამჟამად მისი წარმოებისას ხშირად იყენებენ ხელოვნურ საღებავებს, შაქრის შემცვლელ დამატკბობლებსა და არომატიზატორებს, რომელთა უმეტესობა ჯანმრთელობისთვის მავნეა. ამ გზით მიღებული სასმელები ნატურალურ ლიმონათზე გაცილებით იაფია და, ბუნებრივია, უალკოჰოლო სასმელების ბაზარზე სწორედ მათ უკავიათ უდიდესი ადგილი. შაქრის შემცვლელი დამატკბობლების გამოყენებით წარმოებული სასმელები რეკომენდებულია მხოლოდ დიაბეტიანებისთვის, ჯანმრთელი ადამიანისთვის კი ასეთი დამატკბობლების ხშირი მიღება საზიანოა, ვინაიდან კუჭქვეშა ჯირკვლის დისფუნქციას და ნახშირწყლოვანი ცვლის დარღვევას იწვევს. განსაკუთრებით არასასურველია დამატკბობლების გამოყენებით წარმოებული ლიმონათის მოხმარება ზაფხულში, ვინაიდან ყველაზე გავრცელებული დამატკბობელი, ასპარტამი, 30 გრადუსსა და მეტ ტემპერატურაზე იშლება და ტოქსიკურ ნივთიერებას — მეთანოლს წარმოქმნის. რაც შეეხება ხელოვნურ საღებავებს, დადასტურებულია, რომ ისინი ბავშვებში იწვევს ყურადღების დეფიციტს, ჰიპერაქტიურობას, ნევროზებს და ტვინის დისფუნქციასაც კი. თქვენი და თქვენი შვილების ჯანმრთელობას რომ არ ავნოთ, ლიმონათის შეძენისას ეცადეთ აირჩიოთ ისეთი ბრენდი, რომელშიც ხელოვნური საღებავები და დამატკბობლები მინიმალურად არის გამოყენებული. ამაში შემდეგი რჩევები დაგეხმარებათ:

ერიდეთ ხასხასა, არაბუნებრივი, მკვეთრი „ქიმიური“ ფერის სასმელებს. ასეთი ფერები მხოლოდ ხელოვნური საღებავებით მიიღება. ნატურალურ სასმელს არასოდეს ექნება ღაჟღაჟა და მყვირალა ფერი.

ყურადღებით წაიკითხეთ შემადგენლობა ეტიკეტზე. თუ აღმოაჩენთ, რომ პროდუქტი შეიცავს დამატკბობლებს: ასპარტამს, ქსილიტს, საქარინს, ან მასზე მითითებულია დამატკბობელი საკვებდანამატის კოდი (950-დან 970-მდე), არ შეიძინოთ.

სამწუხაროდ, საქართველოში წარმოებულ პროდუქციას ხშირად შემადგენლობა არ აწერია. თუ რომელიმე ბრენდის ლიმონათს რეგულარულად სვამთ, გირჩევთ გაარკვიოთ, შაქარს შეიცავს იგი თუ დამატკბობლებს. ამისთვის ცოტაოდენი ლიმონათი ჭიქაში გადმოასხით და რამდენიმე დღე ოთახის ტემპერატურაზე დატოვეთ. თუ პროდუქტი ნამდვილ შაქარზეა დამზადებული, იგი „დუღილს“ დაიწყებს, ამჟავდება, ხელოვნური დამატკბობლები კი ასეთ ეფექტს არ იძლევა.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. დამფუძნებელია ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო გამომცემელი შპს „მედია ცენტრი“. გაზეთში გამოქვეყნებული წერილების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალაში მოტანილი ფაქტების, არგუმენტებისა თუ ციტატების სიზუსტეზე. შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.

დირექტორი
ალექსანდრე გიგილოშვილი
მოადგილე
ნუგზარ ღონიაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი
ია გიგიაშვილი
კორესპონდენტი
დალი ტატულიშვილი

რედაქციის მისამართი:
ქ. ყვარელი, კუდიგორის №2
საკონტაქტო ტელეფონი:
22-01-86